# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 129 (149) | ოთხშაბათი, 3 ივლისი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი


სხვა გაზეთიდან

# ექვს თვეში შეუძლებელია სისტემის მთლიანად შეცვლა

## ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ გაზეთ „ტრუდის“ კორესპონდენტთან

**მრავალი გამოცემა, მათ შორის „ტრუდი“ რეგულარულად აქვეყნებს კორესპონდენციებს საქართველოს დღევანდელი რთული სიტუაციის შესახებ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ჩნდება სხვადასხვა ტონით დაწერილი მასალები, მათ შორის ისეთები, რომლებშიც მწვავედ აკრიტიკებენ ამ რესპუბლიკის ლიდერს, მისი დღევანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტს.**

**მერედა თვითონ ზვიად გამსახურდია როგორ ხსნის თავის პოზიციას, თავისი მოქმედების ლოგიკას! „ტრუდის“ მკითხველებს ვთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც სპეციალურად მისცა მან ჩვენს გაზეთს. საუბარი იბეჭდება ყოველგვარი კუპიურისა და შესწორების გარეშე. წაიკითხეთ, შეაფასეთ, თავად გამოიტანეთ დასკვნები.**

**საპიზიტო ბარათი.** ზ. გამსახურდია დაიბადა 1939 წელს. დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მისი მეცნიერული ინტერესების სფეროა ქართული კულტურის, რუსთველოლოგიის, თეოლოგიის, ანთროპოლოგიის, საზღვარგარეთის ლიტერატურისა და მითოლოგიის პრობლემები. იგი მრავალი მონოგრაფიისა და მეცნიერული შრომის ავტორია. გამოქვეყნებული აქვს ლექსების, ესეების, იგავებისა და ლიტერატურული ნარკვევების კრებულები, ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა დაიწყო 50-იან წლებში, 17 წლის ჭაბუკს დააპატიმრეს. მიუხედავად ამისა, განაგრძობდა ინტენსიურ პოლიტიკურ საქმიანობას. ზ. გამსახურდია საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამაარსებელი და უცვლელი თავმჯდომარეა. 1989 წელს აირჩიეს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარედ, არის პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი. 1956-1957 და 1977-1979 წლებში რეპრესირებული იყო. სასჯელს იხდიდა მოსკოვისა და თბილისის საპყრობილეებში. გადასახლებული იყო კასპიისპირეთში.

შარშან ნოემბერში აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, წლევანდელ აპრილში გამართულ უზენაესი საბჭოს სესიაზე — რესპუბლიკის პრეზიდენტად. მიმდინარე წლის მაისში გამართულ საყოველთაო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა და საქართველოს ისტორიაში პირდაპირი ფარული კენჭისყრით არჩეული პირველი პრეზიდენტი გახდა.

ცოლიანია, ჰყავს სამი შვილი.

**— ბატონო ზვიად, როგორ აფასებთ საქართველოს დღევანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას?**

— არის როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის სიძნელეები. მაგრამ ყოველივე ეს [illegible] კომუნისტური რეჟიმის მემკვიდრეობა გახლავთ, რომელმაც ბოლო წლებში გახრწნა საზოგადოება, კრახის პირას მიიყვანა რესპუბლიკის ეკონომიკაც და საზოგადოებრივი ცხოვრებაც. განსაკუთრებით განვითარდა დამნაშავეობა, რომელსაც ეს რეჟიმი საქართველოში, გრძნობდა რა აღსასრულს, ვფიქრობ, შეგნებულად ახალისებდა და აკანონებდა კიდეც... ახლა ჩვენში კატასტროფული ვითარებაა ამ თვალსაზრისით. ეს ახლა სოციალური უბედურებაა, რომელიც პოლიტიკურ საშიშროებადაც გადაიზრდება. აი, მთავარი, რაც მაშფოთებს.

ამ დროს კი რუსი დემოკრატები კვლავ „გვამხილებენ“ და ამტკიცებენ, თითქოს ჩვენ ვაპატიმრებდეთ პოლიტიკურ ოპოზიციონერებს მაშინ, როცა ვაკავებთ დამნაშავეებს. საკმარისია გავაუვნებლოთ რომელიმე ბანდა, რომ აქედან, თბილისიდან სხვადასხვა გამოცემაში უმალ იგზავნება ცრუ ინფორმაცია, თითქოსდა დაზარალდა რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაცია. სხვათა შორის, დანაშაულებრივი სამყარო ახლა მოხერხებულად არის ამოფარებული სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას, ამიტომაც მათთან ბრძოლა ძნელია. აი, რა ართულებს ჩვენს საშინაო პოლიტიკურ ვითარებას.

გარდა ამისა, ხელოვნურ კონფლიქტებს ქმნიან ყოფილ სამხრეთ ოსეთში. ლტოლვილთა პრობლემა ასევე მწვავედ დგას — მათმა რიცხვმა უკვე 10 ათასს მიაღწია და არ ვიცით, რა მოვუხერხოთ. ისინიც უმართავი ადამიანები არიან, აღგზნებულები, ყველაფერი დაკარგეს... ესეც ცენტრის პოლიტიკის მიზეზით ხდება, რომელსაც სურს აქ სიტუაციის დესტაბილიზაცია, ჩვენი მდგომარეობის შერყევა. ამას ემატება პირდაპირი, აშკარა ბლოკადა. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებით ბარტერული გარიგებანიც კი იფუშება: ჩვენ ვგზავნით საქონელს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო კი აკავებს საქონელს, რომელიც სანაცვლოდ გვეგზავნება. სხვაგვარად თუ ვიტყვით, სურთ საქართველო მოაშთონ პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც. ასე რომ, მძიმე მდგომარეობა გვაქვს.

**— ზოგიერთი თქვენი ოპონენტი, მაგალითად, ადგილობრივი სოციალ-დემოკრატები გასაყვედურებენ, — რადიკალური რეფორმები ეკონომიკაში ყოვნდებაო. წინასაარჩევნო ბრძოლის დროს აქა-იქ გაისმა, რაც ახლა საქართველოში ხდება, ნეოსოციალიზმიაო. ეკონომიკის მართვაზე თუ ვილაპარაკებთ, იგი, როგორც თქვენს ოპონენტებს ჰგონიათ, ცენტრალიზებული რჩება. რა რეფორმები და კანონპროექტები მზადდება ამ დარგში?**

— უწინარეს ყოვლისა პრივატიზაციის კანონი. ძალზე მალე, ვიმედოვნებ, მივიღებთ მიწის კანონს, დაკანონდება მისი პრივატიზაცია, და ოპონენტებსაც გაუქრებათ „კოზირები“... საერთოდ კი უნდა გითხრათ, რომ ესენი ოპონენტები კი არა, პროვოკატორები არიან. თავის დროზე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა ჩვენში შექმნა სოციალ-დემოკრატთა ფსევდოპარტია. მათ ყველა შესანიშნავად იცნობს. ასე რომ, მათი აზრები აქ მოსატანი არ არის. იცით, რითი სარგებლობენ? ექვს თვეში შეუძლებელია მთლიანად შეცვალო სისტემა, რომელიც 70 წელზე მეტია არსებობს. აქედან ჩანს, რომ ისინი ბოროტი განზრახვით ამახინჯებენ ფაქტებს. განა ასე შეიძლება? სინამდვილეში ისინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგენტები არიან. ეს იგივე კომპარტიაა, მხოლოდ სახელი შეიცვალა.

**— როცა შარშან ნოემბერში პოლიტიკური ძალების ბლოკი თქვენი ხელმძღვანელობით ხელისუფლების სათავეში მოვიდა, თქვენ გამოაცხადეთ გარდამავალი პერიოდი საქართველოს სუვერენიტეტის გზაზე. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში შექმნილ ესოდენ არასტაბილურ და გაუთვალისწინებელ ვითარებაში ძნელია რაიმეს განჭვრეტა. და მაინც, თქვენი აზრით, როდის შეიქმნება საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი?**

— მხოლოდ მას შემდეგ, როცა საქართველო გავა სსრ კავშირის შემადგენლობიდან, გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მანამ სრულყოფილი ეკონომიკური რეფორმაც კი პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან სოციალისტური სისტემა ძალმომრეობით, ეკონომიკურად, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ გვაფერხებს.

**— ნება მიბოძეთ დაგისვათ „საფირმო“ კითხვა. არის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციაში, რომელიც ერთი წლის წინათ შეიქმნა, თავიდანვე არ ასრულებენ პროფესიული კავშირების მთავარ ფუნქციას, რაც გულისხმობს მშრომელთა ინტერესების დაცვას. თქვენი აზრით, რა როლი აკისრია პროფკავშირებს დღეს?**

— ჩვენთან, სამწუხაროდ, ამ დარგში ვერ მოგვარდა მუშაობა. კონფედერაციაში მეტად ძლიერი შინაბრძოლაა. ვერც საქმე მაინცდამაინც ისე კარგად აწყობილი, როგორც გვინდოდა. გვსურს ვიხილოთ მთლიანად თავისუფალი პროფკავშირები, რომლებიც დაიცავენ მშრომელთა ინტერესებს. კონფედერაციაში პირად ამბიციებს არიან აყოლილები, პირადი ინტერესები ეჯახება ერთმანეთს. ამიტომ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, საქებარ სიტყვას ვერ შევაწევ ჩვენს პროფკავშირებს. მაგრამ ძალზე ვცდილობ მივაღწიო, რომ გვქონდეს ისეთი პროფკავშირები, როგორიც არის ამერიკის შრომის ფედერაცია და საწარმოო პროფკავშირების კონგრესი (ამერიკის შეერთებული შტატები) ან პოლონეთის „სოლიდარობა“.

**— ყმაწვილკაცობიდან ცნობილი ხართ, როგორც სამართალდამცველი, ახლა კი [illegible] ახალი, მშვიდობისმყოფლური ამპლუა: იცით, რომ სომხეთი და აზერბაიჯანი ჯერ კიდევ მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებამდე ერთმანეთს კონტრპირობებს უყენებენ, თქვენ კი მაინც შუამავლობას სთავაზობთ. რას ეფუძნება მეზობლებს შორის მრავალწლიანი კონფლიქტის მოწესრიგების თქვენეული გზა?**

— საქართველო ტრადიციულად ყოველთვის კისრულობდა აზერბაიჯანელთა და სომეხთა შემრიგებლის როლს. თქვენ უთუოდ იცით კავკასიაში მეფის რუსეთის ბატონობის ნაცადი მეთოდი — მეზობელ ხალხებს შორის ნიადაგ შუღლის გაღვივება. მინდია ჩავაგონო ლევონ ტერ-პეტროსიანს და აიაზ მუტალიბოვს, რომ კონფლიქტი მათ თავს მოახვიეს გარედან, რომ ეს არც „ეროვნევი“ და მით უმეტეს, არც კავკასიური მოვლენაა. შუღლი იმპერიამ დანერგა. მაგალითად, 1905 წელს თბილისში სომეხ-აზერბაიჯანელთა საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოეწყო, რომელიც შეაჩერეს ქართველებმა, და შეარიგეს [illegible] მეზობლები. ჰოდა, მეც ვისწრაფვი აღვადორძინო ჩვენი ტრადიციული როლი. დღეს არ მინდა, კაცმა რომ თქვას, არც შემიძლია ყველაფერი ვთქვა, მაგრამ კრემლმა რამდენიმე ეფექტიანი ღონისძიება განახორციელა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ნავარაუდევი შეხვედრის ჩასაფუშად, ასე რომ უკვე თითქმის შეუძლებელია ჩემი განზრახვის აღსრულება.

**— მიუხედავად ამისა, [illegible] თქვენს ინიციატივას და შეგახსენებთ, რომ 1922 წლის პირველ სამოკავშირეო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ამიერკავკასიის ფედერაციის მონაწილეებმა. რამდენად რეალურია უახლოეს მომავალში „საერთო კავკასიური სახლის“ აშენება, როცა ახლა სამივე რესპუბლიკა ესწრაფვის თავისებურად გაგებულ დამოუკიდებლობას?**

— სანამ იმპერიის შემადგენლობაში ვიმყოფებით, შეუძლებელია ამ ჯანსაღი იდეის ხორცშესხმა. თუ კავკასია მთლიანად არ გამოეყო იმპერიას, მეზობელ რესპუბლიკებს შორის არანაირი პოზიტიური პროცესი არ დაიწყება. ამიტომ აქ ჩვენ ყველა ნიადაგ დაგვემუქრება მოვლენათა „ლიბანიზაცია“. ძალზე ძლიერ იმპერიას რეგიონში თავისი მთავარი მიზნები აქვს, მისი მეთოდები კი იმდენად დახვეწილია, რომ იგი წაახალისებს ამიერკავკასიის ლიბანიზაციას და ბოლოს და ბოლოს მიაღწევს თავისას.

**— ერთ-ერთი ჩვენგანი, რომელმაც ნახევარი ცხოვრება თბილისში გაატარა, ვერაფრით გარკვეულა პარადოქსულ სიტუაციაში: როგორ მოხდა, რომ გასულ გაზაფხულზე პრაღაში გამართულ დისიდენტთა მსოფლიო ფორუმზე მიიღეს რეზოლუცია, რომ საქართველოს ახალი ხელისუფალნი ყველა ნაციონალური უმცირესობის მტრები არიან და აპირებენ მათ გასახლებას რესპუბლიკიდან, ცოტა მოგვიანებით კი არაქართული მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაგიჭირათ — პრეზიდენტის არჩევნებში.**

— კვლავ ცენტრის და იმ მოღალატეთა ყოვლისშემძლე ხელი, რომლებიც აქ კრემლმა მოისყიდა. ისინი პრაღაში დისიდენტებად წარდგნენ. არიან ისეთებიც, რომლებმაც მოატყუეს ნამდვილი დისიდენტები, ემიგრანტები სსრ კავშირიდან. ამიტომაც ვამბობ, რომ რუს დემოკრატთა შორის ძალზე ბევრი შოვინისტურად არის განწყობილი საქართველოსადმი. ისე, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ჰაველმა რეზოლუციას ხელი არ მოაწერა, რადგან შესანიშნავად იცის კრემლის ეს სიყალბე.

**— კაცმა რომ თქვას, ცენტრალურ პრესაში ყველ[illegible] აკრიტიკებენ თქვენს პოლიტიკას. როგორ [illegible]**

— კრემლს სწო[illegible] აქვს აღვზული ჩვენს [illegible] ზინფორმაცია, ცილ[illegible] მუნისტური სიცრუე, [illegible] ჯერჯერობით ყოვლი[illegible] მდეგ კი ეს ყოველივ[illegible] ბა დასავლეთში. სწ[illegible]

რეფერენდუმის შედეგებიც კი არსად არ არის ნახსენები. არადა მოსახლეობის 98 პროცენტი, მათ შორის არაქართველთა უმრავლესობა მხარს უჭერს დამოუკიდებლობას. მათ ასევე მომცეს ხმა პრეზიდენტის არჩევნებში. ყველაფერ ამას მალავენ და იმავდროულად ავრცელებენ სიცრუეს, თითქოს ყველა არაქართველს ვასახლებდეთ საქართველოდან, და ლამის გენოციდს ვუწყობდეთ აქ მცხოვრებ ყველა ეროვნებას... მაგრამ ფაქტები? სად არის ფაქტები? არსად. არის ასეთი ოხუნჯობა: ნაპოლეონი გაცოცხლებულა და გაზეთ „პრავდა“ რომ წაუკითხავს უთქვამს, „ასეთი გაზეთი რომ მქონოდა, მსოფლიო ვერ შეიტყობდა ვატერლოოსთან ჩემი დამარცხების ამბავსო“.

**— თქვენ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეთ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში: 3600 ათასი ამომრჩევლიდან ხმა მოგცათ 2500 ათასზე მეტმა კაცმა. დიდი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც კი ასეთი შედეგები იშვიათია. ამავე დროს ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ რომ ზოგიერთი იმათგანი, ვინც არ მონაწილეობდა არჩევნებში, ინდიფერენტულია პოლიტიკისადმი, სხვები — სხვაგვარად მოაზროვნეებს განეკუთვნებიან. მაშ ასე: ხომ არ ყოფილა აქ უბრალოდ შიში? თქვენ სიჭაბუკიდან სხვაგვარად მოაზროვნე იყავით და იცით, რომ ხელისუფალნი ყოველთვის დევნიდნენ ასეთ ადამიანებს. ახლა ბევრს ებადება კითხვა: ხომ არ განაგრძობს ახალი პრეზიდენტი ამ „ტრადიციას“ და ხომ არ დაუწყებს დევნას ახალი მოწვევის დისიდენტებს?**

**და კიდევ ასეთი კითხვა: როგორ გესახებათ საქართველოში საზოგადოების შემდგომი კონსოლიდაციის გზები?**

— საერთოდ უნდა გითხრათ, არჩევნების შედეგები ცხადყოფს, თუ რაოდენ ძლიერად არის შეკავშირებული საზოგადოება. მხოლოდ ათი პროცენტი ინდიფერენტული ან სხვა ორიენტაციის მქონე, მოსახლეობის 90 პროცენტი კი, და არა მარტო ქართველები, გაერთიანებული არიან ერთი იდეით, მეტი რაღა გინდათ! უნდა ვიბრძოლოთ კონსოლიდაციის შენარჩუნებისათვის და [illegible]. რაც შეეხება დევნას — ვინ უნდა ვდევნოთ? ოპოზიციას არანაირი პოლიტიკური ძალა არა აქვს. მას ნულოვანი მხარდაჭერა აქვს ხალხში. ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია პოლიტიკური მკვდარია, რომელიც არავისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. რატომ უნდა ვებრძოლო მათ? პირიქით, მათი შენარჩუნება მინდა, მერე რომ არა თქვან, ოპოზიცია მოსპოო. ჩემთვის აჯობებს კიდეც, თუ იგი იარსებებს.

**— ოპოზიციას, ალბათ, შეუძლია ხელი შეგიწყოს შეცდომების თავიდან აცილებაში?**

— დიახ, რა თქმა უნდა. მათი ლანძღვა-გინება, ნეგატიური გამონათქვამები გვეხმარება კიდეც, გვაფხიზლებს, რადგან სტიმულს გვაძლევს. ასე რომ, აბსოლუტურად არავისი არ გვეშინია.

**— გვინდა დაგისვათ კითხვა თქვენ, როგორც ადამიანს, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ იყო საქართველოში პირველი თვითგამოცემითი ჟურნალის და ჟურნალების რედაქტორ-გამომცემელი: დროდადრო პრესას უტევთ, დაჟინებით უწოდებთ ჩვენს კოლეგებს „კრემლის აგენტებს“ ან სუკის, ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს [illegible]... თქვენ ყველა ჟურნალისტზე გაქვთ დოსიე?**

— გააჩნია ვინ გყავთ მხედველობაში... განა ის, ვინც შეგნებულად ავრცელებს სიცრუეს საქართველოზე, კრემლის აგენტი არ არის?

**— როგორ განასხვავებთ „კრემლის აგენტს“ სუკის, ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტისაგან?**

— ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არ მახსენდება. კრემლის აგენტები ჩვენში არიან. კრემლი ძალზე ძლიერი ორგანიზაციაა, მას ჰყავს თავისი აგენტები, და ეს არც არის გასაკვირი. იმათ, [illegible]

[illegible] დასამალია, ისეთებიც, ვინც გარეულია კორუფციაში, ვინც ღალატობს ჩვენს მოძრაობას. ყველა მოძრაობას ჰყავს მოღალატე, და ამაში არაფერია სენსაციური.

**— რა პრინციპით იწვევთ ადამიანებს თქვენს „გუნდში“, ნიშნავთ თანამდებობაზე ან ათავისუფლებთ?**

— უწინარეს ყოვლისა, საყოველთაო ეროვნული საქმისადმი ერთგულების პრინციპით. მთავარია აგრეთვე პატიოსნება, შეუბღალავი წარსული და აწმყო.

**— ბევრმა არ იცის, მეტადრე საქართველოს გარეთ, რომ ქალბატონი მანანა არა მარტო თქვენი მეუღლე, არამედ თქვენი დიდი ხნის თანამებრძოლი, საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტივისტია. როგორ გგონიათ, დღეს იგი ნანობს, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეა? თუმცა საქართველოს პირველი ქალბატონის როლი ალბათ ყველა ქალისათვის სასიამოვნო უნდა იყოს.**

— დიახ, რა თქმა უნდა. რა დასამალია, რომ მას ძალზე უჭირს. ქალის საქმე არ არის ბრძოლა. სამწუხაროდ, საქართველო ისტორიულად ყოველთვის ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ქალებიც იბრძოდნენ — ასეთია ჩვენი ხვედრი.

**— ბატონო ზვიად, თქვენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟი ბრძანდებით. რა ზნეობრივი და ადამიანური პრინციპებით ხელმძღვანელობთ, როცა საქართველოს ლიდერი გახდით, კერძოდ, მამის რომელ ფრაზას იხსენებთ უფრო ხშირად.**

—უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ადამიანი უნდა ემსახურებოდეს სულიერ საწყისს, მსხვერპლად სწირავდეს თავს იდეას. ეს აზრი ლაიტმოტივად გასდევს „დიდოსტატის მარჯვენას“.

**— თქვენი პირადი თვისებებიდან რომელი მოგწონთ თქვენ, და რომლისგან გინდათ განთავისუფლდეთ?**

— იცით, ჯერ ვერავინ მოახერხა შეუცდომლად გაევლო ცხოვრების გზა, ასევე მეც ვუშვებ მათ. არ მიყვარს საკუთარი თავის აფიშირება. ერთადერთი და მთავარი „პლუსი“ ის მაქვს, რომ ჩემი ხალხისთვის არ მიღალატია. შეცდომები კი საკმარისზე მეტი დავუშვი.

**— თქვენი პირადი მეგობარი, ჩეხო-სლოვაკეთის პრეზიდენტი, დიდი ხანი არ არის, რაც გახდა ადგილობრივი ტელევიზიის სადისკუსიო გადაცემის წამყვანი. თქვენ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოეტს და ბელეტრისტს არ გსურთ გქონდეთ ასეთი მომიჯნავე პროფესია პრეზიდენტის მოვალეობათა შესრულებასთან ერთად, მით უმეტეს, რომ საქართველოს ტელევიზიაში შემოგთავაზეს გაუძღვეთ პროგრამას „პრეზიდენტის საათი“?**

— დიახ, თანახმა ვარ, მაგრამ თუ სამისო დრო მექნება. ძალზე გადატვირთული მაქვს სამუშაო დღე. ჰაველისათვის ეს უფრო ადვილია, იმიტომ, რომ კრემლი იქიდან თავისით მიდის, აქ კი ებღაუჭება საქართველოს, აქ ომი გვაქვს, იქ კი უკვე მშვიდობაა...

**— წარმოვიდგინოთ, რომ გაგიჩნდათ სახელმწიფო საქმეებისაგან სრულიად თავისუფალი ერთი საათი. რითი აჯობინებდით მის შევსებას?**

— თავისუფალ დროს ყოველთვის რელიგიას ვანდომებ, იმიტომ, რომ მორწმუნე ვარ და რეგულარულად დავდივარ ეკლესიაში.

**— უმაღლესი დონის შეხვედრების როგორი პერსპექტივები გაქვთ როგორც კრემლში, ისე თეთრ სახლში?**

— იცით, ჯერჯერობით ვერა და ვერ მოვრიგებულვართ სსრ კავშირის პრეზიდენტთან შეხვედრის ფორმასა და ადგილზე, მასთან მოლაპარაკების შინაარსზე, მაგრამ ეს შეხვედრები მაინც გაიმართება უახლოეს მომავალში. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრებას, პრეზიდენტ ბუშთან საუბარი ალბათ შემდგომზე გაიმართება. [illegible]

საუბარი ჩაიწერეს ბ. კარაპეტიანმა, [illegible] ჩიხლაძემ.

თბილისი, „ტრუდი“, 1991 წლის 27 ივნისი.

თანადგომა

# რეგიონების მიხედვით

## შტაბი წარმართავს აღდგენით სამუშაოებს

[illegible] ...ნაძე, თბილისმშენის ტრესტის მმართველი ილია ქევხიშვილი, № 6 სამშენებლო ტრესტის მმართველი ნოდარ ხარაბაძე, № 4 ტრესტის მმართველი თამაზ ბერეკაშვილი, კავგვირაბმშენის სამშენებლო სამმართველოს უფროსი ავთანდილ ჩალაძე.

მათ ინფორმაციებში ნათლად ჩანდა, რომ ძირითადი ყურადღება გადატანილია ახალი სახლების მშენებლობაზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ ივლისში არც ერთი დანგრეული სახლი არ უნდა იყოს დარჩენილი, სადაც სამუშაოები არ იქნება დაწყებული.

სხდომებზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკლესიებისა და მონასტრების აღდგენისა და მშენებლობის საქმეს. ითქვა, რომ ნინოწმინდის, ნიკორწმინდის, ბარაკონის, სინაგოგის, კრიხეს, სხვავის, მრავალძალის, ჯოისუბნის და სხვა ეკლესიებისა და მონასტრების შეუფერხებელი მშენებლობისათვის უკვე სათანადო სპეციალისტების მონაწილეობით გაიმართა თათბირები, განსაზღვრულია და დადგენილია შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა და ამთავითვე უნდა დაიწყოს მუშაობა, არ მოაკლდეთ არც მუშახელი და არც საჭირო მასალები.

[illegible] ...ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების აღსადგენად და ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ შეფერხებაზე, რომელიც დღემდე არსებობს სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტების მიწოდების, მშენებლობის ტემპისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ეს ობიექტები ადამიანის საარსებო ინტერესებს ემსახურება.

აღინიშნა ის დიდი მუშაობა, რომელსაც საავტომობილო გზების კონცერნი და მისი თავკაცი ბატონი ბორის სარალიძე ეწევა აღნიშნულ რეგიონებში, მაგრამ ათეული წლების მანძილზე დაგროვილი შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა იმდენად დიდია, რთული და შრომატევადი რელიეფური პირობების გამო, რომ დამატებითი შრომითი რესურსების მობილიზებას მოითხოვს.

განსაკუთრებით მწვავედ ითქვა, რომ ამბროლაურის რაიონში დღემდე არ არის აღდგენილი პურის ქარხანა, არ მუშაობს სამაცივრო მეურნეობის 95 პროცენტი, დანგრეულია და სასწრაფოდ უნდა აღდგეს საკონსერვო ქარხანა, რადგან სადაცაა ხილი შემოვა და მოსახლეობა მას სხვაგან ვერ წაიღებს გადასამუშავებ[illegible]

[illegible] ...ნილობა აღდგენილი არ არის მიწისძვრიდან ორი თვის გასვლის შემდეგ და საქგაზის კონცერნმა სათანადო ზომები უნდა მიიღოს.

შეშფოთება გამოითქვა ამ რეგიონში რკინიგზის ვაგონებით შემოსული სამშენებლო ტვირთის დაუცლელობის გამო. მაგალითად, შტაბის სხდომის დღეს, 28 ივნისს, ტყიბულის რკინიგზის სადგურში ამბროლაურისა და ონის სამშენებლო კომპლექსების მისამართით 328 ვაგონი იყო შემოსული და ცდებოდა დაუცლელობის გამო.

შტაბის სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე ბატონი ანზორ საკანდელიძე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე ბატონი ხუგზარ ჩანტლაძე, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი ბატონი ალექსანდრე ჩხეიძე, საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო გზების კონცერნის თავმჯდომარე ბატონი ბორის სარალიძე, მამა ამბროსი, მამა დიმიტრი და სხვები.

**ჯემალ ბურული,**
„საქართველოს რესპუბლიკის“ საკ. კორ.

# კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეოდ

**1993 წელს** სრულდება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით შეიქმნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საიუბილეო ღონისძიებათა მომწყობი კომისია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ბაქარ გიგინეიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში არიან ქართული კულტურისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, მწერლები, ჟურნალისტები. ეს თარიღი აღინიშნება როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ნათელი დღესასწაული.

საიუბილეო ღონისძიებების გეგმით გათვალისწინებულია კონსტანტინე გამსახურდიას თხზულებათა მრავალტომეულის, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მონოგრაფიის, საიუბილეო ბუკლეტის, პლაკატისა და ერთჯერადი გაზეთის გამოცემა. იუბილესათვის მზადების პერიოდში აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში განხორციელდება მწერლის სახლ-მუზეუმის მშენებლობა, კეთილმოეწყობა მისი ტერიტორია, ასევე მუზეუმში მოეწყობა ექსპოზიცია. საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტში გადაიღებენ სატელევიზიო ფილმს ჩვენი სახალხო მწერლის შესახებ.

სამშობლოზე მარად დაფიქრებული და მისი უმდიდრესი ისტორიის მემატიანის სახე აისახება საიუბილეო მედალზე.

რესპუბლიკის თეატრები საიუბილეო დღეებისათვის განახორციელებენ კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლების დადგმას.

საიუბილეო სხდომა გაიმართება მწერლის მშობლიურ რაიონში — აბაშაში.

ჩვენი ეროვნული კულტურის ჭეშმარიტ მშვენებასა და სიამაყეს მიუძღვნის საიუბილეო სხდომას საქართველოს მწერალთა კავშირი.

იუბილესათვის მზადების დღეებში მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი მასალები გამოქვეყნდება იუნესკოს ბეჭდურ ორგანოებში, ასევე რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. გაიმართება ამ დღის აღსანიშნავი მასობრივი ღონისძიებები.

საიუბილეო დღეების გვირგვინი იქნება საიუბილეო საზეიმო დღესასწაული, რომელიც გაიმართება 1993 წლის 15 მაისს, თბილისში.

მდაბლად დავუხაროთ თავი დიდი მწერლის ხსოვნას, მუხლი მოვიყაროთ მისი სათაყვანო საქართველოს წინაშე, მადლობა ვუთხრათ მას კონსტანტინე გამსახურდიასათვის და გავიმეოროთ მწერლის სიტყვები: „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა...“.

საქინფორმი.

# საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარის ბრძანება

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სამხედრო გარნიზონებში წესრიგის, დისციპლინის და ორგანიზებულობის დაცვის მიზნით**

**ვბრძანებ:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში, სადაც განლაგებულია საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის სამხედრო ნაწილები, ჩამოყალიბდეს საკომენდანტო სამსახური, რისთვისაც დაინიშნოს:

— ქ. თბილისის სამხედრო გარნიზონის უფროსად — პოლკოვნიკი ავთანდილ ცქიტიშვილი.

— ქ. თბილისის სამხედრო გარნიზონის კომენდანტად — ბატონი გელა ლაზიავა.

— ქალაქებში, სადაც განლაგებული არიან სამხედრო ნაწილები, სამხედრო გარნიზონების უფროსებად დაინიშნონ ამ ნაწილების მეთაურები.

2. სამხედრო გარნიზონების უფროსებმა საგარნიზონო-საკომენდანტო სამსახურის ჩამოყალიბებისათვის დაინიშნონ შტატგარეშე სამხედრო გარნიზონების კომენდანტები და სისტემატური კონტროლი გაუწიონ მათ მიერ ფუნქციური მოვალეობის ზუსტად შესრულებას.

3. ბრძანება გაეცნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის პირად შემადგენლობას.

**საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე სარდალი თენგიზ კიტოვანი**

სტიქია

# მეწყრები აჭარის მთებში

**აჭარის** მთებში სტიქიამ კვლავ შეგვახსენა თავი. ხულოს რაიონის სოფლებში აგარაში, საციხურში, მექეიძეებში მეწყრები ჩამოწვა. კოკისპირული წვიმების შედეგად დამბალმა მიწამ ველარ გაუძლო და უზარმაზარ მასალა ჩამოწვა, სოფლებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. დაიტბორა ზოგიერთი სახლის პირველი სართულები, მიწის და ქვის ქვეშ აღმოჩნდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის.

უბედურების ადგილებში იყვნენ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ასლან აბაშიძე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გურამ ვარშალომიძე და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები. შესაბამის სამსახურებს მიეცათ კონკრეტული მითითებანი, რათა შესრულდეს აღდგენითი სამუშაოები. განისაზღვრა მათი ვადები.

სტიქიით გამოწვეული ზარალი ზუსტდება. მომხდარის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ბუნებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება, დიდი ანთროპოგენური დატვირთვა.

უბედურების მიუხედავად, ადგილობრივი მცხოვრებნი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისთვის, რომ ალმოფხვრან სტიქიის შედეგები, დაზარალებულ სოფლებს დახმარებას უწევენ.

**თამაზ ბენძიძე,**
საქინფორმის კორ.

შიდა ქართლი

# შეგნებული სიცრუე

## ერთხელ კიდევ ოსების უსაფუძვლო, ილუზორული პრეტენზიების შესახებ

**პრეზიდენტი** მ. გორბაჩოვი დღენიადაგ აცხადებს, რომ ყველა სერიოზულ პრობლემას წყვეტს კონსტიტუციის ნორმების საფუძველზე, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა და დემოკრატიულ სახელმწიფოებში დამკვიდრებული სტანდარტების გათვალისწინებით. სინამდვილეში ამ სავსებით მართებულ პრინციპებს მ. გორბაჩოვი პრაქტიკულად იშვიათად იყენებს საერთოდ და მთლიანად უგულებელყოფს, როდესაც საქმე ეხება ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმების გამო წამოჭრილ დავას და სამაჩაბლოში ხელოვნურად წარმოქმნილი ე. წ. ეთნოკონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. ჩვენი საზოგადოებრიობა ამაში მრავალგზის დარწმუნდა და ვფიქრობთ, ამისი დამადასტურებელი ცალკეული ფაქტის მოყვანა საჭირო აღარ არის. არადა, ნებისმიერი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნა თუ გაუქმება იმდენად რთული სახელმწიფოებრივი საქმეა და არაორდინარული მოვლენა, რომ სწორედ ამ დროს არის აუცილებელი, ფართოდ გამოვიყენოთ კონსტიტუციური ნორმებიც, დიალოგის ფორმაც, ცივილიზებულ ქვეყნებში დადგენილი პრაქტიკაც, მთელი კაცობრიობის გამოცდილებაც, საერთაშორისო სამართლის ნორმებიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზეა შემუშავებული და აპრობირებული. საბჭოთა სტრუქტურების ფარგლებში ეს საკითხი გონივრულად და სამართლიანად არ გადაწყდა. ვერც გადაწყდებოდა, რადგან მას ყალბი წანამძღვრები იდო საფუძვლად. ამის შედეგია ეთნოკონფლიქტები, რომლებიც ქვეყნის ხან ერთ რეგიონში იფეთქებს, ხან მეორეში, ხშირად არცთუ მოულოდნელად.

ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ეთნოკრიზისები რომლებიც ფაქტობრივად ცენტრის მიერ არის ინსპირირებული, საბაბს აძლევს მას, უცერემონიოდ ჩაერიოს სუვერენული რესპუბლიკების საშინაო საქმეებში, შემდეგ არბიტრად მოევლინოს დაპირისპირებულ მხარეებს, ულტიმატუმის ფორმით წაუყენოს თავისი პირობები და კონფლიქტიდან მაქსიმალური სარგებლობა თუ მოგება მიიღოს. ამ ნაცნობი სცენარით გათამაშდა ტრაგედიაც, რომელიც თავს დაატყდა მესამე ძალამ სამაჩაბლოს, საქართველოს ძირძველ მიწა-წყალს.

სამაჩაბლოში დასახლებულმა ოსმა სეპარატისტებმა, ჩრდილო-კავკასიელი ოსების და იმპერიული ძალების ხელშეწყობით სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადეს სრულიად საქართველოს, ქართველ ხალხს. კონფლიქტმა ორივე მხრივ ათეულობით ადამიანი შეიწირა, უაზრო სისხლისღვრას კი ბოლო არ უჩანს. შემზარავია ოსების მზაკვრობა და მუხანათობა, უკიდურესი სისასტიკე და ვანდალიზმი. გიკვირს კიდეც, როგორ ახერხებდა ჩვენს გვერდით ცხოვრებას ხალხი, რომელსაც გულში ამდენი ბოღმა და ღვარძლი ჰქონია ჩაგუბებული. მაგრამ ტყუილად ფიქრობენ ოსი ექსტრემისტები რომ საწადელს ძალმომრეობით მიაღწევენ. ძალის გამოყენებით ასეთი პრობლემების გადაჭრა დღეს, XX საუკუნის მიწურულს, სრულიად უპერსპექტივო საქმეა.

რა ხდება ბოლოს და ბოლოს ოსებს, რამ გამოიწვია ჩვენი უძველესი მეზობლების ასეთი ველური გაავება და ზოოლოგიური სიძულვილი ქართველების მიმართ, რომელთაგანაც კარგის მეტი არაფერი ახსოვთ? შეიძლება საქართველოს რესპუბლიკა, ქართველი ხალხი, რომლის ჰუმანურობა, სტუმართმოყვარეობა და მოთმინების უნარი საყოველთაოდ არის ცნობილი, ტყუის მათთან, უგულებელყოფს ცივილიზებულ მსოფლიოში დამკვიდრებულ პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მართლაც ჩაგრავს ოსებს, არ აძლევს იმის საშუალებას, რომ განახორციელონ თავისი სამართლით დაცული უფლება. საქმე ის არის, რომ ქართველი ხალხი ამ შემთხვევაშიც ცამდე მართალია, ხოლო ოსების მიერ ავტონომიური ოლქის რეანიმაციის ცდა უსაფუძვლოა, არაფრით არ არის არგუმენტირებული, არ ემყარება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობათა მსოფლიოში დადგენილ პრაქტიკას და ამდენად ილუზორულია.

ქვემოთ შევეცდებით ვუჩვენოთ, რატომ არის ოსების პრეტენზიები დაუსაბუთებელი სამართლებრივადაც და საერთაშორისო პრაქტიკითაც.

**პირველი.** საბჭოთა სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესში ეროვნულ-ტერიტორიული და საერთოდ სახელმწიფოებრივი ერთეულები იქმნებოდა ხელაღებით, ნაჩქარევად, ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლობის, მათი ისტორიის, ეკონომიკური კავშირურთიერთობის, გეოგრაფიის, ტერიტორიის და სხვა ობიექტურ კანონზომიერებათა გაუთვალისწინებლად. ეს არქიმნიშვნელოვანესი საკითხი წყდებოდა ვოლუნტარისტულად, პირთა ვიწრო ჯგუფის მიერ, ზოგჯერ ერთი კაცის ნებასურვილით, არავითარი ანგარიში არ ეწეოდა ამ ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობის აზრს და პროტესტს. ყოფილი რუსეთის იმპერიის უკიდეგანო ტერიტორია ამ მხრივაც ექსპერიმენტულ პოლიგონად იყო გადაქცეული. იქმნებოდა და უმალვე ქრებოდა სხვადასხვა რესპუბლიკები და ავტონომიური ერთეულები. და ამ ბაქანალიას ბოლშევიკები ეროვნული საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გადაწყვეტას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულებას უწოდებდნენ. ზოგიერთი ასეთი უკანონო ეროვნული წარმონაქმნი, მათ შორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, საბჭოური რელიქტების სახით ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი (დღესაც განაგრძობს არსებობას ე. წ. ებრაელთა ავტონომიური ოლქი შორეულ აღმოსავლეთში. ეს ტერიტორია სსრ კავშირის ცაკის 1928 წლის 28 მარტის დადგენილებით გამოიყო „მშრომელ ებრაელთა დასასახლებლად". მისი გაუქმების აუცილებლობა უკვე კარგა ხანია მომწიფებული).

ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმების შესახებ სავსებით ნორმალური, რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე გადაწყვეტილი სამართლებრივი აქტი იყო და მას არ უნდა მოჰყოლოდა არავითარი გართულება, უარყოფითი რეზონანსი საერთოდ, ქართველების მიმართ კერძოდ. მით უფრო, რომ ეს პროვოცირებული იყო თვით ოსების მიერ და ფაქტობრივად წარმოადგენდა პასუხს მათ დაუსაბუთებელ პრეტენზიაზე, თავიდანვე უკანონოდ დაარსებული ავტონომიური ოლქი აეყვანათ დამოუკიდებელი რესპუბლიკის რანგში, რაც ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკის კონსტიტუციას, ლახავდა მის სუვერენიტეტს და, რაც მთავარია, აშკარა საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ საკითხის გადაწყვეტა რომ საქართველოს რესპუბლიკის კომპეტენციაში შედის, ეს აღიარა მ. გორბაჩოვის ემისარმაც, საკავშირო პარლამენტის ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ რ. ნიშანოვმა, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა საქართველოში ეთნოკონფლიქტთან დაკავშირებით. მაგრამ ამ ცენტრი, რადიო, ტელევიზია და გაზეთები, რომლებიც მას ექვემდებარებიან, გაყალბებული ინფორმაციით ცდილობენ, მთელი მსოფლიო აუმხედრონ საქართველოს. ძნელი მისახვედრი არ არის: ეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ გაამართლონ საქართველოში პირდაპირი სამხედრო ჩარევა, რაც დაიწყო კიდეც სამაჩაბლოში შინაგანი ჯარების ახალი კონტინგენტის შეყვანით.

ახლა ვნახოთ, დასაბუთებულია თუ არა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნოკრატიის და ადამონ ნიხასის „თეორეტიკოსების", (აგრეთვე) პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის ბრძანებულების მოთხოვნა ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის თითქოსდა დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ, ემყარება თუ არა ოსი სეპარატისტების პრეტენზია ცივილიზებულ ქვეყნებში, სამართლებრივ სახელმწიფოებში დამკვიდრებულ პრაქტიკას და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მსგავსი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი ჩვენი პლანეტის არც ერთ ქვეყანაში ისტორიულად არ არსებულა და ვერც იარსებებდა. შემთხვევითი არ არის, რომ ოსი ისტორიკოსები და იურისტები, მათ მიერ დაქირავებული სხვა ეროვნების მეცნიერები და ჟურნალისტები ქართველებთან დისკუსიის დროს განზრახ დუმილით უვლიან გვერდს ამ თემას, ვერ უთითებენ სამართლებრივ ნორმას, რომელიც გაამართლებდა ოსების პოზიციას, ვერ მოჰყავთ საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკიდან თუნდაც ერთი მაგალითი იმისა, რომ რომელიმე ერს თავის ისტორიულ საცხოვრისში ჰქონდეს სახელმწიფო და მეზობელ სახელმწიფოში კომპაქტურად დასახლებულ იმავე ეთნიკურ ჯგუფს — მეორე სახელმწიფო ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის სახით. ვერც დაასახელებენ, ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ოლქი ნამდვილად უნიკალური მოვლენა იყო დედამიწის ზურგზე, ერთადერთი, რომელსაც პრეცედენტი, ანალოგი არ მოეძებნება თვით საბჭოთა სტრუქტურებშიც.

როგორ არის გადაწყვეტილი ეს საკითხი ევროპისა და აზიის კონტინენტების იმ სახელმწიფოებში, რომელთა ისტორიულ ტერიტორიას ოდითგან შემორჩნენ მეზობელი სახელმწიფოების ეთნიკური ჯგუფები და საერთოდ არაავტოქთონური მოსახლეობა. ასეთი სახელმწიფო უამრავია, რამდენადაც აბსოლუტურად სტერილური სახელმწიფო მსოფლიოში არც არსებობს. ვფიქრობთ, იქაური გამოცდილება, პრეცედენტი უფრო მოსადეგი და მისაღები ჩვენთვის, ვინაიდან საერთაშორისო სტანდარტებად არის მიჩნეული. ვიდრე მათ დავასახელებდეთ, წინასწარ უნდა განვაცხადოთ, რომ ამ სახელმწიფოებში ეროვნული უმცირესობის უფლებრივი მდგომარეობა (მათ შორის აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც) მეტისმეტად სავალალოა. ისინი მოკლებული არიან ეროვნულ კულტურულ ავტონომიის უფლებას, ეროვნული ნიშნის გამო განიცდიან შევიწროებას და დისკრიმინაციას. საქმე ზოგჯერ აშკარა გენოციდამდეც მიდის.

ბულგარეთის რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში, თურქეთის მეზობლად მილიონზე მეტი თურქი ცხოვრობს. რატომ არავის არასოდეს მოუვიდა აზრად, შეექმნა მათთვის ავტონომიური ტერიტორიული ერთეული, ვთქვათ, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთის ავტონომიური რესპუბლიკა ან ოლქი? სხვათა შორის, თურქები ამ ტერიტორიაზე უფრო მეტი ხანია ცხოვრობენ, ვიდრე ოსები სამაჩაბლოში. ამასთან, ეს ტერიტორია ერთხანს თურქეთ ეკუთვნოდა და რიცხობრივადაც აქ დასახლებული თურქები ორჯერ და მეტად აღემატებიან ორივე ოსეთს ერთად აღებულს. ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება სკოლებში მშობლიურ ენაზე ისწავლონ, თურქული ენა საერთოდ იდევნება, ბევრს ძალით გვარსაც უცვლიან. აუტანელი დისკრიმინაციის გამო 1975-1985 წლებში 75 ათასმა, ხოლო 1989 წლის მაის-აგვისტოში 340.000 თურქმა მიატოვა ბულგარეთი და თავის ისტორიულ სამშობლოში გადასახლდა. დარჩენილი თურქების მოთხოვნა დღესაც ერთია: უფლება მისცენ, საშუალო განათლება მიიღონ მშობლიურ ენაზე.

რუმინეთში, უნგრეთის საზღვართან ტრანსილვანიაში, თითქმის სამი მილიონი უნგრელია დასახლებული. საკითხავია, რატომ არა აქვს ასეთ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ვთქვათ, აღმოსავლეთ უნგრეთის ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის სახით. ასეთი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის საკითხი არასოდეს არავის არც დაუყენებია, ვინაიდან ეს იქნებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმის საწინააღმდეგო მოთხოვნა.

ინდოეთის სამხრეთში ცხოვრობს მრავალრიცხოვანი ერი — ტამილები. შრი-ლანკას (ყოფილი კუნძული ცეილონი) ჩრდილოეთი ნაწილი ასევე დასახლებულია ტამილებით. ამ ორ სახელმწიფოს, როგორც ცნობილია, ვიწრო სრუტე ჰყოფს. ხუთიოდე წლის წინათ „ტამილურმა ვეფხვებმა" ნამდვილი ომი გაუმართეს შრი-ლანკას ხელისუფლებს შეზღუდული ავტონომიის უფლების მოსაპოვებლად. კონფლიქტის მოგვარება იკისრა ინდოეთმა. საინტერესოა, როგორ მოიქცა ინდოეთის მთავრობა, რა ფორმით დაიცვა თავისი მრავალრიცხოვანი ტომის — ტამილელთა ინტერესები. შრი-ლანკის მთავრობასთან შეთანხმებით კუნძულზე ჯარი გადასხა ტამილელ ექსტრემისტთა გონს მოსაყვანად (უნებურად გახსენდება ჩრდილო ოსეთის ეთნოკრატიის პოზიცია, იმის ნაცვლად, რომ მიიღოს ვითარების განმუხტვის ზომები, ხელი შეუწყოს საქართველოში, კერძოდ, სამაჩაბლოში მცხოვრები ოსების დაშოშმინებას, თავისი უგნური პოლიტიკით, პროვოკაციული განცხადებებით და დეზინფორმაციით კიდევ უფრო ამწვავებს და ახანგრძლივებს კრიზისს). კონფლიქტს შედეგად მოჰყვა შრი-ლანკაში მცხოვრებ ტამილელთა მასობრივი გადასახლება ინდოეთის სამხრეთში, მათს ისტორიულ სამშობლოში. ბოლოსდაბოლოს ამ კონფლიქტს შეეწირა რაჯივ განდი.

ავიღოთ ომამდელი პოლონეთი. ცნობილია, რომ მისი ტერიტორიის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად დასახლებული იყო უკრაინელებითა და ბელორუსებით, რომლებსაც არც ეროვნულ-ტერიტორიული და არც ეროვნულ-კულტურული ავტონომია არ გააჩნდათ, თუმცა ემეზობლებოდნენ უკრაინის და ბელორუსიის რესპუბლიკებს, თანაც გვერდში ყავდათ ისეთი სახელმწიფო, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი.

ახლო აღმოსავლეთის ბევრ არაბულ სახელმწიფოში ვრცელი რაიონები კომპაქტურად დასახლებულია სომხებით. არასოდეს ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის საკითხი აქ არ დასმულა.

ასეთი მაგალითები ათეულობით შეგვიძლია მოვიყვანოთ. მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის გასარკვევად, თუ როგორ წყვეტენ ცივილიზებული ქვეყნები თავიანთ ტერიტორიაზე დასახლებული ეთნიკური ჯგუფების ბედ-იღბალს. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შესაბამისად სხვის ტერიტორიაზე ყველაზე კარგ შემთხვევაში მათ ენიჭებათ მართოოდენ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლება. არც სამართლებრივ სახელმწიფოებში დამკვიდრებული პრაქტიკა, არც საერთაშორისო სამართლის ან გაეროს რომელიმე გადაწყვეტილების ნორმა არც ერთ ერს არ აძლევს უფლებას, რომ ჰქონდეს ორი სახელმწიფო, ერთი თავის ისტორიულ საცხოვრისში, ხოლო მეორე იმ მოსაზღვრე სახელმწიფოში, რომელსაც იგი ოდესღაც შეეხიზნა. ასე რომ, სხვის ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფის კომპაქტურად დასახლების ფაქტი მას არ წარმოუშობს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნის უფლებას. ის კი არა, ქურთებმა, რომელთა რიცხოვნობა 25 მილიონს აღემატება, დღემდე ვერ მიაღწიეს ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას თავის საცხოვრისში, ქურთისტანის ტერიტორიაზე, რომლის ანექსია და ოკუპაცია ოდესღაც სხვა ქვეყნებმა მოახდინეს. ოსებისაგან განსხვავებით, ქურთები არც არავის შეხიზნენიან, არც არავის ტერიტორიის მიტაცებას ლამობენ, თანაც არსებობს საერთაშორისო და ორმხრივი შეთანხმებანი მათთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ოსების პრეტენზიები უსაფუძვლოა სამართლებრივადაც და ცივილიზებულ მსოფლიოში დადგენილი პრაქტიკითაც. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპითაც ეროვნული თვითგამორკვევის უფლება აქვს მხოლოდ თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს, აბორიგენებს, რომლებიც ოდესღაც დაიპყრეს, ან „შემოხიზნად" შეიერთეს. ოსები კი არავის დაუპყრია და არც აბორიგენებს მიეკუთვნებიან, სხვის ტერიტორიაზე ეროვნული თვითგამორკვევის გამოცხადება კი აბსურდია. საბჭოთა სტრუქტურების პირობებში ასეთ აბსურდებს მიჩვეული ვიყავით.

**მეორე.** ბუნებრივად იმის კითხვა: აბა რატომღა შეიქმნა თავის დროზე ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქი, რა წანამძღვრები იდო მას საფუძვლად, რითი ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მაშინდელი მესვეურები, (როდესაც ისტორიულ სამაჩაბლოს ოფიციალურად დაარქვეს სამხრეთ ოსეთი? ბოლშევიკების საქციელსა და მიღებულ გადაწყვეტილებებში ეძებო და მონახო რაიმე კანონზომიერება, ამაო საქმეა. ასევეა ამ საკითხშიც.

უნდა ვიფიქროთ, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქი წარმოადგენდა ბოლშევიკების იდეოლოგიისა და პოლიტიკის ბაზისზე წარმოშობილ ზედნაშენს. თუ ეს ბაზისი არ იარსებებდა, მას ავტომატურად მოჰყვებოდა არაკანონიერი ოლქის გაუქმება. სინამდვილეში ასეც მოხდა. სხვათა შორის, სამაჩაბლოს ოსებმა კარგად იციან, რომ ავტონომიური ოლქი მარტო საბჭოური სტრუქტურებისა და კომუნისტური რეჟიმის პირობებში იარსებებს. ამიტომაც არის, რომ ვერ ელევიან საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტებს და წითელ დროშას, თორემ გულზე არც ერთი არ ეხატებათ.

სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნა წარმოადგენდა სტალინის იმ საბედისწერო (?) პოლიტიკის განხორციელების ნაყოფს, რომელიც გულისხმობდა საქართველოს ხელახლა გადახვნას და არაფრით არ განსხვავდებოდა დაპყრობილი ქვეყნების მიმართ იმპერიალისტური სახელმწიფოების კრედოსაგან — გათიშე და იბატონე. სწორედ ამ პოლიტიკამ განაპირობა სამხრეთ ოსეთის ოლქის დაბადება, რაც ქართველი ბოლშევიკების და მათი ოსი თანამებრძოლების მიერ გაცილებით ადრე იყო ჩაფიქრებული, ვიდრე ოლქი გაფორმდებოდა. სიმპტომატურია, რომ სამხრეთ ოსეთის ოლქის შექმნამდე ორი წლით ადრე, ჯერ კიდევ 1920 წელს, ჩრდილო ოსეთში მოკალათებული სამაჩაბლოს ოსი ბოლშევიკები თავის თავს უწოდებდნენ სამხრეთ ოსეთის რევკომს, თუმცა ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს ასეთი კუთხე — „სამხრეთ ოსეთი" — არ ჰქონდა არც ფაქტობრივად და არც ფორმალურად. სწორედ ამ აგრესიულმა პარტოკრატიამ თავისი [illegible] გეგმების შესანარჩუნებლად, შეიძლება ითქვას, ძალადობით შექმნა სამხრეთ ოსეთის ოლქი ქართველი ხალხის დაუკითხავად, მისი ნების გვერდის ავლით, უფრო მეტიც, ქართველების წინააღმდეგობისა და პროტესტების მიუხედავად და, რაც მთავარია, თვით ოსი მოსახლეობის ანგარიშგაუწევლადაც (ამისი უამრავი მაგალითია მოყვანილი ბატონ ლევან თოიძის ახლახან გამოცემულ წიგნში „როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი").

განა ანეკდოტური არ არის ის ფაქტი, რომ სერგო ორჯონიკიძის ეს უკანონო ნაშიერი ქვეყანას მოევლინა 1922 წელს, ორი წლით ადრე, ვიდრე შეიქმნებოდა ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქი (1936 წლიდან — ასსრ). სახელწოდებაც „ჩრდილოეთი" იმიტომ მიიღო, რომ საქართველოში უკვე არსებობდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. სერგო ორჯონიკიძე და მისმა ოსმა თანამებრძოლებმა არად ჩააგდეს კომპეტენტური დასკვნა, რომელშიც ვკითხულობთ: „ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიკურად სრულიად სხვადასხვა პროვინციების ნაწილებს, ასეთი ჩამონაჭრებისაგან ხელოვნურად შემდგარი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს". მაგრამ რკინის სერგომ და მისმა ოსმა ამფსონებმა შეუძლებელი შეძლეს. ცალკეული პირთა ძმაკაცობის საფუძველზე შექმნილი და ამდენად არაკანონიერი ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულს მუდმივი არსებობა არ ეწერა.

**მესამე.** ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის საკითხის გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერის ისტორიულ საცხოვრისს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გასავალი აქვს „თეორიას", რომლის მიხედვითაც თითქოს აბსოლუტურად სულ ერთი იყოს, თუ რომელ ერს ეკუთვნის ისტორიულად ესა თუ ის ტერიტორია. ოსები, რომლებიც ებღაუჭებიან ამ დებულებას, გვიმტკიცებენ, რომ ტერიტორია ეკუთვნის იმ ხალხს, ეთნიკურ ჯგუფს, ვისაც იგი ამჟამად უჭირავს, ე. ი. ერის ისტორიულ საცხოვრისს ანაქრონიზმად მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე მათთვის სასარგებლო უსწორო დასკვნა: ტერიტორია, ისტორიული ძეგლები, ყველაფერი მათ ეკუთვნით და ამდენად, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, შეუძლიათ გავიდნენ საქართველოს ფარგლებიდან, შეუერთდნენ ჩრდილოეთ ოსეთს, დაემორჩილონ რსფსრ იურისდიქციას და სხვა. ამ საკითხების თაობაზე ოსებს უკვე გაეცა პასუხი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ამასწინანდელ განცხადებაში.

დიახ, არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა ერის ისტორიული საცხოვრისის თაობაზე. ეს ნორმა ეკუთვნის ისეთ [illegible]რებულ და ავტორიტეტულ ორგანოს, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, [illegible] თავისი არსებობის პირველ წლებში 1947-1948 წლებში [illegible] რომ შექმნა პრეცედენტი, რითაც განისაზღვრა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნში ერის ისტორიული საცხოვრისის ადგილი. საქმე ეხება ისრაელის სახელმწიფოს, რომელიც გაერომ შექმნა მხოლოდ ებრაელების ისტორიული საცხოვრისის ნიშნის მიხედვით. ეს სახელმწიფო ცნო საბჭოთა კავშირმაც და ამით ერთდროულად აღიარა მისი შექმნის, ე. ი. ისტორიული საცხოვრისის მნიშვნელობის პრინციპიც. საბოლოოდ ეს გადაწყვეტილება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბების საფუძვლად იქცა. სამაჩაბლოს ოსები მოვალენი არიან ანგარიში გაუწიონ იმას, რომ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმითაც ე. წ. სამხრეთ ოსეთი ისტორიულად ჩვენი საცხოვრისია და ამ არეალში ქართველების შემცირება და ოსების გამრავლება არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს მათ.

**მეოთხე.** ცენტრალური ტელევიზია და პრესა ყოველნაირად ცდილობს შეუქმნას ოსებს დაჩაგრული ერის იმიჯი. გავარკვიოთ, მართლა დაჩაგრულები არიან ოსები? მე ვიტყოდი, პირიქით. თითქმის სამოცდაათი წლის მანძილზე ოსები წარმოადგენდნენ არა დაჩაგრულ, არამედ ერთ-ერთ პრივილეგირებულ ერს. ჯერ ერთი, ოსები ერთადერთი ერია მსოფლიოში, რომელსაც ორი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა. შემდეგ, როდესაც კავკასიის ურჩად მონათლული ხალხის დეპორტაცია მოახდინეს, მათი ისტორიული საცხოვრისის მსუყე ნაჭრები ოსებს გადაულოცეს. ამ ხალხების რეაბილიტაციის შემდეგ ოსებს დღემდე არ დაუბრუნებიათ მათთვის სახლ-კარი და კუთვნილი მიწა-წყალი. და ეს ხდება იმიტომ, რომ ოსები ოდითგანვე რეჟიმის ერთგულ დასაყრდენად ითვლებიან.

ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან შედარებით ოსები ათასგვარი უპირატესობით სარგებლობდნენ. მაგალითად, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილედ ხანგრძლივად მუშაობდა ოსი, წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წამყვან განყოფილებებს (ადმინისტრაციული, მშენებლობის და საქალაქო მეურნეობის) სათავეში ოსები ედგნენ. თავის დროზე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც ოსები იყვნენ. რესპუბლიკის მინისტრების ბევრი მოადგილე ოსი იყო, აღარაფერს ვამბობთ საქართველოს უზენაესი საბჭოს შესახებ, სადაც თავმჯდომარის მოადგილის ერთი ადგილი პირველი არჩევნებიდან დაწყებული ყოველთვის დაჯავშნული იყო ოსისათვის. ამის შემდეგ რა უნდა ვუწოდო, თუ არა სიცრუე და შეგნებული დეზინფორმაცია კიმ ცაგოლოვის, ავღანელი გენერლის იმ განცხადებას ცენტრალურ პრესაში, რომ რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელობაში არც ერთი ოსი არ ყოფილაო. და მაინც არის ხალხი, რომელიც გაიძახის, ქართველები ოსებს ჩაგრავდნენო.

ამ პრივილეგიების მიუხედავად ოსები კიდევ უფრო მეტს მოითხოვდნენ. ბოლოს საქმე მივიდა აგრესიულ ნაციონალიზმამდე. რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმისადმი ერთგულების საბაბით ყოველნაირად ჩქმალავდა ამ ფაქტებს. მაგრამ ორმოციანი წლების დამლევს და ორმოცდაათიანი წლების დამდეგს ოსურმა ნაციონალიზმმა ისეთი საშიში ხასიათი მიიღო, რომ პარტიული ფორუმები, რესპუბლიკური და საოლქო პრესა იძულებული გახდნენ, შეშფოთებით ელაპარაკათ ოსური ნაციონალიზმის „შანთით ამოძირკვის" აუცილებლობის შესახებ. მალე ეს „ბრძოლა" მინელდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთში საოლქო და რაიონული მასშტაბით ხელმძღვანელ პოსტებზე ქართველები თითქმის აღარც იყვნენ, თუმცა გენერალი ცაგოლოვი უსირცხვილოდ წერს, რომ ქართველები ხელმძღვანელ სამუშაოზე უფრო მეტი იყო, ვიდრე პროპორციულად ეკუთვნოდათო.

ოსებს საქართველოში არავინ ჩაგრავს. მათ უზრუნველყოფილი აქვთ ეროვნულ-კულტურული ავტონომია, თან არა მარტო ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, არამედ მთელ საქართველოშიც და ამას უნდა დასჯერდნენ. ეს სადაო და სადისკუსიო თემა არ არის, ამ აზრის არის ყველა ობიექტურად და საღად მოაზროვნე ადამიანი.

ოსებმაც და ცენტრმაც, რომელიც მათ უჭერს მხარს, კარგად უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ხალხი არ დათმობს ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ ძირძველ ქართულ მიწა-წყალს, რაც ფაქტობრივად შუაზე გაყოფდა საქართველოს. დადგა დრო, შეწყდეს ქართული მიწების პერმანენტული მიტაცება.

რაც შეეხება მ. გორბაჩოვის ბრძანებულებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის დადგენილებას სამხრეთ ოსეთში 1990 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობის აღდგენის თაობაზე, ამაზე უნდა ითქვას შემდეგი: მოქმედი კონსტიტუციით, ავტონომიური ოლქის შექმნაც და გაუქმებაც წარმოადგენს სუვერენული რესპუბლიკის შეუვალ უფლებას, მის კომპეტენციას. მით უფრო, რომ, როგორც დავინახეთ ეს გადაწყვეტილება შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს და დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

ეს კონფლიქტი დიდი ხნის მოგვარებული იქნებოდა, რომ არ იყოს ზემოდან უცერემონიო ჩარევა.

**ოთარ კაციტაძე,**
*რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი.*

**ავტორის თხოვნით ჰონორარი სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში გადაირიცხება.**

მისინეთი

საქართველოს რესპუბლიკის
პრეზიდენტს ბატონ
ზვიად გამსახურდიას,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ვ. არძინბას,
სრულიად საქართველოს ისტორიულ [illegible]
[illegible]
ბატონ ზ. შერაშიძეს

[illegible]

ქ. ქუთაისი, 26 ივნისი, 1991 წელი.

სოფელი



[illegible]

დემოგრაფია

# „ჭავჭავაძე" — მომავლის სოფელი

**მარნეულის** რაიონის ყულარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა შალვა ჭილაძემ ზემდგომ ორგანოებში მრავალგზის აღძრა საკითხი ამ ზონაში ქართული სოფლის გაშენების შესახებ.

— ეს აუცილებელია, — ამტკიცებდა იგი, — ქვემო ქართლის ამ ძირძველ მიწაზე არის აზერბაიჯანული და სომხური დასახლებები, ქართველები კი ჩვენს ტერიტორიაზე თითზე ჩამოსათვლელი ვართ. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს დემოგრაფია ამ მხარეში, სადაც წინათ ჰყვაოდა ქართული კულტურა.

ჭილაძის, მისი მსგავსი პატრიოტებისა და მარნეულის პრეფექტის არჩილ მაჭავარიანის დამსახურებაა ის, რომ საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ მხარი დაუჭირა ამ თაოსნობას და გადაწყდა ახალი სოფლის გაშენება. იგი „მონათლეს" კიდეც. მას დაერქმევა ქართველი ხალხის სულიერი მამის ილია ჭავჭავაძის სახელი. რაიონის სახელობითი სოფლების — ალმაშენებლის, თამარისის, წერეთლის გვერდით აყვავდება სოფელი ჭავჭავაძეც.

— როგორი იქნება ახალი ქართული სოფელი? — ამ კითხვას უპასუხა ასოციაციის „მარნეულის" პრეზიდენტმა მურმან ჩიტიამ.

— მთავრობის დადგენილებით „ჭავჭავაძის" კარ-მიდამოსათვის გამოყოფილია 63,5 ჰექტარი მიწა. „სოფლპროექტის" საპროექტო ინსტიტუტი მას 140 კომლისათვის აპროექტებს. ლარივით სწორ ქუჩებს ორივე მხარეს გაჰყვება ორსართულიანი თანამედროვე კოტეჯები, რომლებსაც ექნებათ ყველა საჭირო სათავსო. ეზოებში იქნება პირუტყვის სადგომი, ბეღელი, ავტოფარეხი, [illegible], მარანი, რომლებიც [illegible] ვაზითა და ხეხილით დამშვენებულ ეზოებში. სხვათა შორის, ეზოს ფართობი ძველებურად შეზღუდული როდია 600 კვადრატულ მეტრამდე. ახლა მისი ფართობი 2.500 კვადრატული მეტრია. სხვაგვარად არც შეიძლება, გლეხკაცი უკარმიდამოდ იგივეა, რაც ხე უფესვოდ. თავის ეზოში მან ხალვათად უნდა იგრძნოს თავი. ქართველ გლეხკაცს ოდითგანვე მოსდგამს ვრცელი ეზო, მხოლოდ კომუნისტურმა რეჟიმმა შეუმცირა მას საცხოვრისი, შეავიწროვა, სოფელი შეაძულა. ეს აღარ უნდა განმეორდეს.

სოფლის ცენტრში ჩინებულ არქიტექტურულ ანსამბლს შექმნის სკოლა, ამბულატორია, ფოსტა, სავაჭრო ცენტრი, ადმინისტრაციული სახლი, მომსახურების სხვა ობიექტები. სოფლის მომავალი მცხოვრებლები იქნებიან აჭარიდან სტიქიის სიავის გამო ჩამოსახლებული ადამიანები, რომლებიც უკვე რამდენიმე ხანია აფარებენ თავს ყულარის მახლობლად მდებარე შულავერის მატყლის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლებს. ბევრი მათგანი უკვე ყულარის მეურნეობაში შრომობს. მიშა აბაშიძე და ვალიკო ბოლქვაძე საიჯარო ბრიგადებს ჩაუდგნენ სათავეში და ჩინებულად დამუშავებული ვენახები და ყანები აქვთ. აჭარლები მშრომელი ხალხია. ეს მათ აქაც დაამტკიცეს.

სოფელს ექნება სასმელი წყალი, რომელსაც ხარჯების აუნაზღაურებლად მიიღებენ ამიერკავკასიის რკინიგზის ცენტრალური წყალსადენიდან, არც სარწყავი წყალი მოაკლდება მათ სავარგულებს. მას მიიღებენ ყულარისა და იმირის სარწყავი არხებიდან, რომლებიც მომავალ სოფელს ორივე მხარეს ჩაუდის. ბუნებრივი გაზიც ახლოს გადის მშენებარე სოფელთან და ვისაც ეს საქმე ეხება, ისინი ბუნებრივი გაზის ჩართვასაც გვპირდებიან. ერთი სიტყვით, „ჭავჭავაძეში" ისე იცხოვრებენ, როგორც ნამდვილად უნდა ცხოვრობდნენ თანამედროვე სოფლის ადამიანები და რაზეც ისინი მრავალი წლის მანძილზე ოცნებობდნენ.

ყულარის სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ხელმძღვანელობა პირობას იძლევა, რომ ერთგულად ამოუდგება მხარში ახალი სოფლის მშენებლებს, დაახმარებს ტექნიკას, მექანიზმებს, შრომით რესურსებს და მოგების წილიდანაც გარკვეულ ფულად თანხებს გამოყოფს. ეს საპატიო დავალება მიიღეს მრავალეროვნული ყულარის მცხოვრებლებმა, სადაც საუკუნეების განმავლობაში გვერდიგვერდ მეგობრულად ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რუსები, სომხები, ქურთები, ბერძნები.

— „ჭავჭავაძე" ისეთი სოფელი უნდა იყოს, როგორც შეეფერება სულმნათი ილიას ძვირფას სახელს, — გვითხრა ყულარის მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ველგიზი (?) მახათაძემ.

გვჯეროდეს, რომ ეს ჭეშმარიტად ასე იქნება.

მარნეულის რაიონს მალე კიდევ ორი ახალი ქართული სოფელი შეემატება. ერთი — დაბა შაუმიანის მახლობლად, მეორე კი — მარნეულის მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც აჭარიდან ჩამოსახლებულები დასახლდებიან. ორი სოფლისათვის, სადაც ზემო იმერეთში მომხდარი მიწისძვრისგან დაზარალებული ოჯახები დამკვიდრდებიან, ამჟამად მიმდინარეობს ადგილების გამოყოფა წითელი ხიდისა და სოფელ წერეთლის მიდამოებში.

მარნეულის რაიონში კვლავ გაიდგამს ფესვს ქართული ჯილაგი.

საქინფორმი.

## პრობლემა

# ქართული წიგნის ბედის გამო

**ქართული** მწიგნობრობის მომავალი განუყოფლად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან. ეროვნულ ხელოვნებასა და მეცნიერებას თავისუფალი და ჰარმონიული განვითარების მაქსიმალური შესაძლებლობა მხოლოდ თავისუფალ საქართველოში მიენიჭება. ბუნებრივია, თუ ქართული სულიერი კულტურის მუშაკი მოუთმენლად მოელის იმ დღეს, როდესაც სახელმწიფო ჭეშმარიტად იზრუნებს ხელოვნებისა და მეცნიერების ეროვნული დარგების სათანადოდ განვითარებისათვის, როდესაც ხელოვანსა და მეცნიერს მოეხსნება მის წინაშე აღმართული ხელოვნური ბარიერები, როდესაც ქართული ენა მთელი თავისი ღვთაებრივი ძალმოსილებით მოემსახურება ქვეყნის სულიერ ცხოვრებას, როდესაც შესაძლებელი გახდება, დაიძლიოს კოლონიური პირობებით გამოწვეული დამუხრუჭება სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, როდესაც ყველა ასაკის ქართველს ექნება ის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც თანამედროვე კულტურული ქვეყნის შვილს მშობლიურ ენაზე უნდა ჰქონდეს (იმის ჩამოთვლაც კი, თუ რა გვაკლია ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, შორს წაგვიყვანდა).

ეს ყოველივე, განგების ნებით, შორეული ოცნება აღარ არის. მაგრამ მაინც შეშფოთებას იწვევს იმპერიის გაჭიანურებული რღვევის ფონზე შექმნილი ობიექტური სინამდვილე. ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის საკმაოდ ქაოსურმა პროცესმა თავისი მკაცრი პირობები უკარნახა ეროვნული სულიერი კულტურის მსახურთაც და, თუ მოვლენები შემდგომშიც ასევე „თავისუფლად" განვითარდა, შეიძლება სერიოზულად, კიდევ რამდენიმე წლით დაამუხრუჭოს ისედაც საგრძნობლად დაზარალებული ეროვნული დარგები.

გარდასულ წლებში მეცნიერების ეროვნული დარგების ფინანსურმა, ტექნიკურმა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა და სხვა სახის შეზღუდვებმა (მარტო „რუსული დაცვები" რად ღირს!) საგრძნობლად დააზარალა, საერთაშორისო მასშტაბებს კატასტროფულად ჩამოარჩინა ჩვენი მეცნიერება. ეროვნული მეცნიერების კვლავაც დანებება ამ კრიზისული პროცესებისათვის დამღუპველი იქნება.

საქმე ის არის, რომ მეცნიერებას, ძალაუნებურად, საბოლოოდ წარმოებასთან აქვს საქმე, მისი ნაღვაწის ბედი მეწარმის ნებასა და ინტერესებზე არის დამოკიდებული; ხოლო შესაბამისი წარმოება, ანუ წიგნის ბეჭდვის საქმე, ახალი საბაზრო ურთიერთობების, თვითდაფინანსების, ამდენი კოოპერატიული და თავისუფალი გამოცემების პირობებში, ბუნებრივია, მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური სარგებლიანობის თვალსაზრისით „აფასებს" გამოსაცემ პროდუქციას.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქაღალდის საბაზრო ფასის არნახულმა მომატებამ მომგებიანი ტირაჟის საზღვარიც ბევრად ასწია ზემოთ, გასაგები იქნება, რომ „მომგებიანი" ტირაჟები ქართული ფილოლოგიისათვის საერთოდ მიუწვდომელი გახდა. მაგალითად, ქართული ლექსიკონების ტირაჟი საზოგადოდ დაბალი არ არის; და თუ ადრე გამომცემლობები ლექსიკონებს არცთუ მთლად უგულოდ ხვდებოდნენ, დღეს მათაც არამომგებიანი ლიტერატურის სიაში გადაინაცვლეს.

აღნიშნულ გარემოებათა გამო ქართული წიგნის საქმე საგანგაშო ვითარებაში აღმოჩნდა.

აშკარაა, რომ ქართული წიგნი კონკურენციას ვერ უწევს ათასგვარ მასობრივ პოპულარულ ლიტერატურას.

და ეს მხოლოდ მეცნიერულ დარგებს არ შეეხება. გაუჭირდა ქართულ მწერლობასაც და ამის შესახებ უკვე დაიწერა წერილები.

მიზანშეწონილი არ იქნებოდა ამ ვითარების კონკურენციის ობიექტური კანონებით გამართლება.

უახლოეს წარსულში ყველა მოწმე იყო იმისა, თუ სამამულო ეკრანზე როგორ ვერ უწევდა კონკურენციას შესანიშნავი ქართული ფილმი მდარე ღირებულების, მასობრივ ევროპულ თუ მელოდრამატულ ინდურ და არაბულ კინოპროდუქციას.

თუ კონკურენციის ულმობელ, განურჩეველ კანონებს დავუქვემდებარებთ, ობიექტურ გარემოებათა გამო, შეიძლება ეროვნული სულიერი კულტურის ზოგი სფერო აღმოჩნდეს სავალალო მდგომარეობაში.

რა სახის ლიტერატურის სიმრავლეა დღეს წიგნის ბაზარზე?

მაღაზიები (სპეციალურიც კი!) დაიპყრო ე. წ. კომერციულმა ლიტერატურამ: აღმოსავლური თუ დასავლური მისტიკის კრებულები, სხვადასხვა ხასიათის ჰოროსკოპები, სექსუალური ხასიათის წიგნები, პოპულარულ თუ ოდიოზურ პოლიტიკურ მოღვაწეთა პიკანტური თუ სხვა ამბები, ჭორი თუ მართალი, ათასგვარი გახმაურებული მკურნალობები, ორთაბრძოლების მრავალგვარი რეკომენდაციები...

ამას დავუმატოთ ბევრი მდარე თვითგამოცემა, წიგნები საკუთარი ხარჯით, რომელთა ხარისხს არავინ აკონტროლებს (ვგულისხმობთ კონტროლს წმინდა შემეცნებითი და ესთეტიკური თვალსაზრისით), სახელდახელო კრებულები დროებით აქტუალურ თემებზე და საერთო სურათი ნათელი შეიქმნება.

განა დასაშვებია, რომ ქართული მხატვრული სიტყვის მეგლეები, გამოკვლევები ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ, ქართული სკოლის სახელმძღვანელოები... ზემოთ ჩამოთვლილი „ლიტერატურის" ფასებისა და ტირაჟების კონკურსში დავუშვათ?!

როგორც ჩანს, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებშიც უნდა მოიძებნოს სათანადო მექანიზმი, რომელიც ეროვნული სულიერი მოღვაწეობის სფეროს დაიცავს.

ეროვნული სულიერი კულტურის დაცვის საქმეს სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტა სჭირდება, თუნდაც ეს საგრძნობი თანხები დაჯდეს.

დღეს, ქაღალდის დეფიციტისა და დაბალი პოლიგრაფიული შესაძლებლობების პირობებში, არამომგებიანობის საბაბით, სახელმწიფო გამომცემლობები თავს არიდებენ ქართველ მეცნიერთა წიგნების, ლექსიკონების, სახელმძღვანელოების ბეჭდვასაც კი.

ჩვენს სინამდვილეში მძიმე მეცნიერული შრომის ერთადერთი რეალური კომპენსაცია მისი გამოქვეყნებაა. როგორც ითქვა, ქართველოლოგი დღეს ამასაც ვეღარ ახერხებს. ქართული ენათმეცნიერებისათვის დღემდე განსაზღვრული საგამომცემლო ლიმიტი ერთობ მცირეა, სამათხოვროა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ სპეციალური გამომცემლობები მის რეალიზაციასაც ვერ უზრუნველყოფენ.

ქართველ მეცნიერთა გამოკვლევებისათვის იმ ტირაჟის (1000 ც.) განსაზღვრაც კი ჭირს, რომელიც გამოცემის უფლებას უზრუნველყოფდა.

ტრადიციული საბაზრო ურთიერთობების ევროპულ ქვეყნებშიც კი არ „აშთობენ" სამეცნიერო წიგნებს მათი ტირაჟის გამო. ყველასათვის არის ცნობილი, რომ ქართველოლოგიური ლიტერატურა დაუბრკოლებლად გამოდის ევროპის იმ ქვეყნებშიც, სადაც მისი მომხმარებელი ასეულს თუ ითვლის.

ამავე დროს, ჩვენს სინამდვილეში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ნაშრომთა ტირაჟების განსაზღვრის საქმე. უფრო სწორად, არავინ არ ზრუნავს კონკრეტულ წიგნზე რეალური მოთხოვნის საკითხის შესწავლისათვის თუ გამოცემული ტირაჟის შესაფერის ადრესატთან მიტანისათვის.

აშკარაა, რომ ამ თვალსაზრისით — ეროვნული საგამომცემლო პოლიტიკის თვალსაზრისით — პრობლემა სრულიად ახლებურ, რადიკალურ გადაწყვეტას მოითხოვს.

თუ ქართველი მწერლის, ქართველი მეცნიერის, ქართველი პედაგოგი-დიდაქტიკოსის ინტერესები კანონიერად არ იქნა დაცული, შეიძლება უახლოეს მომავალში სრული სულიერი კრახის პირას აღმოვჩნდეთ.

ჩვენი შეშფოთება სამსჯავროზე გამოგვაქვს იმის რწმენით, რომ ქართული ჰუმანიტარული საზოგადოება ხმას შეაწევს საერთო საქვეყნო საფიქრალს, ხოლო ხელისუფლება შესაბამის აწონილ ნაბიჯს გადადგამს ამ სერიოზული პრობლემების მოსაგვარებლად.

**ავთანდილ არაბული,**
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე.

## საზღვარგარეთ

# ინტერესი საქართველოსადმი

**1991 წლის** 21, 22, 23 ივნისს შვეიცარიის ქალაქ კრანს-მონტანაში გაიმართა სამთავრობათაშორისო უმაღლესი დონის ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ევროპის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ: ლიხტენშტეინის პრინცი ფილიპი — ფორუმის ერთ-ერთი დამაარსებელი, ბულგარეთის, რუმინეთის, ისლანდიის, გიბრალტარის პრემიერ-მინისტრები; ალჟირის, საბერძნეთის, რუმინეთის, ომანის ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრები, ელჩები შვეიცარიასა და საბჭოთა კავშირში, შვეიცარიის ვალეს და იურას კანტონის თავმჯდომარეები, ყოფილი პოლიტიკური მოღვაწეები: საფრანგეთის სამი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი — კლოდ შეისონი, ჟან ფრანსუა-პონზე, ჟანბერნარ რაიმონი, ყოფილი ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრი ედუარდ ბალადური.

ფორუმის მთავარი ამოცანა იყო განეხილა საბჭოთა კავშირში დღეს არსებული სიტუაცია, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები და აქედან გამომდინარე დაესახა მასთან მომავალი ურთიერთობის გზები და პერსპექტივები.

დასავლეთი დღეს რთული ამოცანის წინაშეა. მან არ იცის, თუ როგორ იმოქმედოს ისეთი უზარმაზარი პოტენციალის მქონე ქვეყანაზე, როგორიცაა საბჭოთა კავშირი: კეთილგანწყობილი დაკვირვებით შემოიფარგლოს, თუ აქტიურად ჩაერიოს. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რესპუბლიკების მთავრობის ხელმძღვანელები პერსონალურად იყვნენ მოწვეული ასეთი მაღალი დონის შეხვედრაზე, იმაზე მეტყველებს, რომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები დღეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში პროგრესული პოლიტიკის გზას ადგანან.

ფორუმს ესწრებოდნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ობზინსკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე შჩერბაკოვი, სსრ კავშირის ელჩი შვეიცარიაში, მოლდავეთის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი, ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, აგრეთვე ლიტვის წარმომადგენელი პრუნსკენე. ფორუმში მონაწილეობას იღებდნენ გაერო-ს თითქმის ყველა მსხვილი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საქართველოს წარმოადგენდნენ მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და საგარეო საქმეთა მინისტრი გ. ხოშტარია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საქართველო წარმოდგენილი იყო დამოუკიდებლად და სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან განსხვავებით (მათ საკრედიტაციო ბარათზე „საბჭოთა კავშირი" ეწერათ) ჩვენი მთავრობის წარმომადგენლების საკრედიტაციო ბარათს, „საქართველო" ეწერა.

ფორუმის პირველ დღეს ბატონ თენგიზ სიგუას გამოსვლამ, რომელიც საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს და მის სავარაუდო მომავალს ეხებოდა, უდიდესი ინტერესი გამოიწვია და შეიძლება ითქვას, რომ ტონი მისცა ფორუმის შემდგომ მსვლელობას.

ფორუმზე წარმოდგენილი დელეგაციის ხელმძღვანელები საქართველოს წარმომადგენლებთან კონტაქტისაკენ ისწრაფოდნენ. საქართველოსადმი ინტერესი უფრო გაიზარდა მეორე დღეს, როდესაც „შავი ზღვისპირეთის" ქვეყნების ხელმძღვანელების შეხვედრაზეც ის მტკიცე პოზიციით გამოვიდა.

ფორუმის მესამე დღეს კი „საქართველოს თემა" ბრწყინვალე სიტყვით დააგვირგვინა რიჩარდ პაიფსმა. საერთო აზრი ცალკეული რესპუბლიკების თავისუფლების აუცილებლობაზე უფრო მტკიცე გახდა.

საქართველოს დელეგაციის წევრებს ცალკეული პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის შეხვედრები ჰქონდათ (განსაკუთრებით რეგიონის ქვეყნებთან). გაიშალა თანამშრომლობის დიდი პერსპექტივები.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქვეყანა იყო გასულ ფორუმზე. ასეთი წარმატება კი ნიშნავს იმას, რომ ჩვენი რესპუბლიკა თავის ადგილს იკავებს საერთაშორისო სარბიელზე.

დაწვრილებითი ანგარიში ფორუმის შესახებ მოგვიანებით გამოქვეყნდება.

**ლიკა ბასილაია,**
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის მუშაკი.

# ვაცლავ ჰაველი იუგოსლავიის შესახებ

**იუგოსლავიაში** ამჟამად შექმნილი ვითარება ძალიან საშიშია და არა მარტო იმიტომ, რომ იქ სისხლი იღვრება, არამედ იმიტომაც, რომ იგი იწვევს მთელი ბალკანეთისა და მთელი ევროპის სიტუაციის დესტაბილიზაციას. ეს განაცხადა კვირას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ტრადიციულ რადიომიმართვაში. იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, განაგრძო მან, საეჭვოს ხდის ინტეგრაციულ პროცესებს ევროპაში, იწვევს უნდობლობას მთელი პოსტკომუნისტური რეგიონისადმი, რადგან დასავლეთის მასტაბილიზებელი დემოკრატიის განვითარება სამართლიანად სვამს კითხვას: როდის მოხდება რაღაც ამგვარი სხვა ქვეყანაში?.. როგორც ვ. ჰაველმა განაცხადა, ალბათ, ოთხშაბათს პრაღაში ერთმანეთს შეხვდებიან ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები, რომლებიც განიხილავენ იუგოსლავიაში შექმნილი მდგომარეობის პრობლემებს. მან გამოთქვა რწმენა, რომ საერთაშორისო გაერთიანება შესთავაზებს თათბირს რაღაც გადაწყვეტილებას, რომელიც დაეხმარება იუგოსლავიას.

# რამდენიმე სტრიქონით

**გაზეთ** „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობით, სლოვენიაში და ხორვატიაში, რომლებიც იუგოსლავიის უნიტარული სახელმწიფოდან გამოყოფას ცდილობენ, ლიბანიდან გადაზიდულია 100 მილიონი დოლარის სამხედრო ტექნიკა. გაზეთი იუწყება, რომ გადაზიდული სამხედრო ტექნიკა, მეტწილად ქალაქის ქუჩებში საბრძოლველად გამოიყენება.

**ირანის** ქალაქ მეშჰედში საჯაროდ სიკვდილით დასაჯეს ათი ნარკოტიკების ვაჭარი. უკანასკნელი ორწლინახევრის განმავლობაში, ნარკოტიკების გავრცელებისთვის სიკვდილის სასჯელის შესახებ კანონის მიღების შემდეგ, ირანში საჯაროდ ჩამოახრჩვეს ასი ათასზე მეტი კაცი.

**ალჟირში** გრძელდება ისლამის ფუნდამენტალისტების და ქვეყნის სამხედრო შენაერთების შეტაკებები. ფრანგული „კოტიდიენ დე პარი" აღნიშნავს, რომ ფუნდამენტალისტებს სურთ ალჟირში „ისლამის სამეფოს" დაარსება. იუწყებიან, რომ ხელისუფლებამ დააპატიმრა აჯანყებულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი აბას მადანი და მისი მოადგილე ალით ბელხაჯი.

**საფრანგეთისა** და ვენესუელის პრეზიდენტების ფრანსუა მიტერანისა და კარლოს ანდრეს პერესის ინიციატივით პარიზში გაიმართა 25 ნავთობმომპოვებელი ქვეყნის წარმომადგენელთა ფორუმი. მისი მიზანია ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და პლანეტაზე უშიშროების განმტკიცება.

**გერმანიის** საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს დიტრიხ გენშერმა დაგმო ბელგრადის მიერ სამხედრო ძალის გამოყენება სლოვენიაში და ხორვატიაში. მან აღნიშნა, რომ იუგოსლავიის მომავალი ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და არა ტანკებმა.

ინდოეთის ასამის შტატში, რომელიც ინდოეთიდან გამოყოფას აპირებს, უცნობმა პირებმა მოიტაცეს რამდენიმე ადამიანი, მათ შორის ერთი საბჭოთა ინჟინერი.



**ობიექტივშია** ინდოეთი. ძნელი ასახსნელია, თუ რა აჩერებს ამ უზარმაზარ კვერცხის ფორმის ლოდს გრანიტის დახრილ ხიბრტყეზე, ასე დგას იგი უხსოვარი დროიდან. ინდოელები ლოდს ღვთაება კრიშნას უკავშირებენ და ქვეყნის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად ითვლება.

# მზის სრულ დაბნელებაზე დასაკვირვებლად

### სამეცნიერო ექსპედიციები ბრაზილიასა და მექსიკაში

**წელს** 11 ივლისს მოხდება მზის სრული დაბნელება, რომელიც გამოჩნდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტებზე. თუმცა მთელ დედამიწაზე საშუალოდ ყოველ 100 წელიწადში ეს მოვლენა 66-ჯერ ხდება, რომელიმე ადგილისათვის მზის სრული დაბნელება ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელად საქართველოში მზის სრული დაბნელება მოხდა 1981 წლის 31 ივლისს, შემდეგი კი იქნება მხოლოდ 2088 წლის 21 აპრილს.

მზის სრული დაბნელების შესწავლა ყოველთვის დიდად საინტერესოა მეცნიერებისათვის. საქმე ის არის, რომ მხოლოდ ამ დროს შეიძლება დავაკვირდეთ მზის ატმოსფეროს სულ გარეთა ნაწილს — კორონას ანუ გვირგვინს, რომელიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებზე და იწვევს კლიმატურ ცვლილებებს, აგრეთვე მოქმედებს რადიო და ტელეგადაცემათა ხარისხზე. სწორედ ამიტომ არის, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები, მიუხედავად გაწეული ხარჯების უნაყოფოდ დაკარგვის რისკისა (შესაძლოა დაკვირვების ჩატარებას ხელი შეუშალოს უამინდობამაც) მაინც აწყობენ შორეულ ექსპედიციებს მზის სრული დაბნელების შესწავლის მიზნით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას დიდი მეცნიერული ტრადიციები აქვს მზის სრული დაბნელებების დაკვირვების საქმეში. მას არაერთხელ მოუწყვია ექსპედიციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამ საინტერესო მოვლენის შესასწავლად.

ამჯერადაც ობსერვატორიამ უკვე გააგზავნა მეცნიერთა ორი ჯგუფი, რომლებიც ქ. მოსკოვში შეუერთდებიან ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის ჯგუფებს და ორ ექსპედიციად გაფრინდებიან ბრაზილიასა და მექსიკაში, სადაც 11 ივლისს გაივლის მზის სრული დაბნელების ზოლი.

ბრაზილიის ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში აბასთუმნის ობსერვატორიიდან მონაწილეობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი როლან კილაძე და ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ელდარ ხუციშვილი, განლაგდება მდინარე მადეირას სანაპიროზე, ჯუნგლებით გარემოცულ დაბა მანიკორეს მახლობლად, წინასწარ შერჩეულ დასაკვირვებელ მოედანზე.

მექსიკის ექსპედიციას შეუერთდებიან ჩვენი თანამშრომლები, ობსერვატორიის მზის გამოკვლევათა განყოფილების ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა ყულიჯანიშვილი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლევან გეონჯიანი და ინჟინერი სერგეი დადნიკი. ეს ექსპედიცია იმუშავებს კალიფორნიის ნახევარკუნძულზე მდებარე ქ. ლა-პასის მახლობლად შერჩეულ მოედანზე.

უხემოსავლიანი ყოფილიყოს ექსპედიციების მუშაობა!

**ვიქტორ ჯაფიაშვილი,**
პროფესორი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობაში.

საქინფორმი

## კონცეფცია

# საქართველოს მეცნიერთა ეროვნული საატესტაციო სისტემის შესახებ

**სამეცნიერო** ხარისხებისა და წოდებების მინიჭების არსებული საკავშირო სისტემა კარგა ხანია მეცნიერთა საყოველთაო კრიტიკის ქარცეცხლშია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისია ცენტრის პოლიტიკის განხორციელების „სამეცნიერო" მექანიზმია და თავისუფლად მოაზროვნე ეროვნული სამეცნიერო კადრების ჩამოყალიბებას არამც და არამც არ უწყობს ხელს. საქართველოდან მიედინება საბჭოურად მონათლული მეცნიერული აღმოჩენები და უამრავი გამოგონება, გაჩნდა ყოვლად გაუმართლებელი ტერმინი — „საბჭოთა მეცნიერი".

სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების საქართველოს რესპუბლიკაში მინიჭების განხორციელების შესაძლებლობა აღელვებს ქართველ სწავლულებს. რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა შეიქმნას ქართული მეცნიერების განვითარებისათვის საჭირო ატესტაციის ეროვნული სისტემა. თქმა არ უნდა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტისაკენ წინსვლას ნიშნავს.

საატესტაციო სისტემის ეროვნულმა რეორგანიზაციამ უნდა მოსპოს ცენტრის პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობა. რესპუბლიკამ თვითონ უნდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, ახალგაზრდა სწავლულთა მომზადების, სამეცნიერო ატესტაციის ყველა საკითხზე, თვითონ უნდა განსაზღვროს სუვერენული საქართველოს უპირატესი პრიორიტეტული სამეცნიერო დარგები და მიმართულებები, წამოსწიოს შესაბამისი პროგრამები, უზრუნველყოს მათი ხორცშესხმისათვის აუცილებელი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადება, ყოველმხრივ შეუქმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული მეცნიერების განვითარებას.

ეროვნულმა საატესტაციო სისტემამ ახალი შინაარსი უნდა მისცეს სამეცნიერო ხარისხს. იგი მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ პიროვნებას მოღვაწეობის სფეროდ დასახული აქვს სამეცნიერო კვლევა და აქვს სათანადო დონე. სხვა შინაარსი, ან რაიმე მატერიალური დატვირთვა ხარისხს არ უნდა გააჩნდეს. მეცნიერთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას უნდა განსაზღვრავდეს დაკავებული თანამდებობა, მისი რეიტინგი და ის კონკრეტული საქმე, რასაც ეწევა მკვლევარი. უშუალოდ სამეცნიერო ხარისხთან და წოდებასთან დაკავშირებული ყოველგვარი „პრივილეგია" უნდა გაუქმდეს. საქართველოს რესპუბლიკაში სამეცნიერო ხარისხების მინიჭებასთან დაკავშირებით გაცემული დიპლომები ოფიციალურად უნდა გვაღიარებინონ, რომ ვართ ქართველი მეცნიერები და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ამრიგად, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების დიპლომი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ მაძიებელმა სამეცნიერო მუშაობაში მიაღწია გარკვეულ დონეს და საბოლოოდ გადაწყვიტა მეცნიერებაში მუშაობა. ასეთი მარტივი შინაარსის გამო მაძიებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მარტივი პროცედურით (სურვილის შემთხვევაში) დოკუმენტურადაც დააფიქსიროს ეს.

ხარისხების მინიჭების კრიტერიუმი მარტივი უნდა იყოს. თუკი სპეციალისტთა გარკვეული რაოდენობა ჩათვლის, რომ მეცნიერს ეკუთვნის ხარისხი, ეს საკმარისი უნდა იყოს მისთვის ხარისხის მისანიჭებლად. ხარისხს თვით მეცნიერები უნდა ანიჭებდნენ ერთმანეთს ყოველგვარი დიქტატის გარეშე. ამიტომ ხარისხების მიმნიჭებელი სისტემა არავის არ უნდა ექვემდებარებოდეს, არც მეცნიერებათა აკადემიას და არც მინისტრთა საბჭოს. ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭო უნდა იყოს მეცნიერთა თავისუფალი გაერთიანება. საბჭოში უნდა შედიოდეს ამ დარგის ყველა სპეციალისტი, ვისაც შესაბამისი ხარისხი აქვს მინიჭებული და, აგრეთვე, მოწვეული წევრები. უნდა გაუქმდეს ბიუროკრატიული ბარიერები, ყოველგვარი გამოცდები, თემის „დამტკიცების" მექანიზმი, დახასიათებები და სხვა.

რაც შეეხება გაცემული ეროვნული დიპლომის პრესტიჟს, იგი ზოგადად ქართველი მეცნიერის რეიტინგზე იქნება დამოკიდებული. ბევრ სამეცნიერო დარგში იგი ახლაც მაღალია. მეცნიერებს სცნობენ არა დიპლომებით, არამედ კვლევის შედეგებით. ჩვენში ბევრ სამეცნიერო დაწესებულებას მჭიდრო კონტაქტები აქვს უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან. შეიძლება მათთან ხელშეკრულების დადება დიპლომების ნოსტრიფიკაციის შესახებ. ასეთივე ხელშეკრულებებს მოკავშირე რესპუბლიკებიც მოაწერენ ხელს. შესაძლებელია მაძიებელმა რეფერატები დაუგზავნოს საკავშირო და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე სპეციალისტებს. მათგან დადებითი შეფასების მიღება თავისთავად ნიშნავს მინიჭებული ეროვნული დიპლომის საერთაშორისო აღიარებას. ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ასეთი სახის კონტაქტები ხელს შეუწყობს მაღალი სამეცნიერო დონის შენარჩუნებას, სამეცნიერო კვლევის გაღრმავებას, სპეციალისტთა თვალსაზრისის ურთიერთგაცვლას ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის აქტუალობაზე და მისი გადაწყვეტის საშუალებებზე.

სწავლულ-მკვლევართა მომზადების ეროვნული სისტემა უნდა გულისხმობდეს ჰარმონიული სამეცნიერო განვითარებისა და არსებულ სამეცნიერო პრობლემებში პროფესიული გარკვევის შესაძლებლობას. მეცნიერს უნდა ჰქონდეს უნარი მსგავსი პრობლემებისა და საერთო საკითხების აღმოჩენისას თავისუფლად გადაერთოს მომიჯნავე და საკმაოდ დაშორებულ სამეცნიერო დარგებშიც კი და აწარმოოს მაღალი დონის კვლევა-ძიება. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ერთი სამეცნიერო დარგიდან მეორეში გადასული მეცნიერი ამდიდრებს ამ უკანასკნელს საკუთარი გამოცდილებით და მნიშვნელოვან სამეცნიერო წარმატებებსაც აღწევს. ამიტომაა საჭირო, მკვლევარმა რაც შეიძლება ადრე მოიპოვოს სამეცნიერო ხარისხი, რათა, სიჭაბუკის ხანაში შესულს, შესაძლებლობა ჰქონდეს მთელი თავისი დრო დაუთმოს თავისუფალ სამეცნიერო შემოქმედებას. დღეს არსებული ატესტაციის „ცენტრისტულ-იმპერიული" სისტემითაა განპირობებული ის, რომ მეცნიერ-მკვლევარს თვითმიზნად ექცა საკანდიდატო და სადოქტორო ხარისხების მოპოვება, რასაც იგი ხშირად მთელ თავის „სამეცნიერო ცხოვრებას" ანდომებს. სადოქტორო ხარისხს მიღწეულს ხშირად აღარ შესწევს უნარი აწარმოოს შემდგომი ვიწრო ხასიათის მეცნიერული მოღვაწეობაც კი, რომ არაფერი ვთქვათ თავისუფალ სამეცნიერო შემოქმედებაზე. ზოგი ჩერდება საკანდიდატო ხარისხზე და ცხოვრების მატერიალური კეთილმოწყობის მიზნით სხვა წყაროების ძებნას იწყებს. ასე იქმნება სამეცნიერო ბალასტი.

წინამდებარე კონცეფცია გულისხმობს უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი რეფორმის გატარებას, როცა სწავლების ბოლო, არასავალდებულო ორწლიან ეტაპს განაგრძობენ მხოლოდ სამეცნიერო მუშაობით დაინტერესებული ახალგაზრდები. მათ უნდა შესწევდეთ უნარი აწარმოონ სამეცნიერო კვლევა-ძიება პროფესორის ხელმძღვანელობით. თუკი სასწავლო კურსის დამთავრებისას სამეცნიერო შრომების მქონე სტუდენტი წარმოადგენს სამეცნიერო ღირებულების ნაშრომს, მას სპეციალურმა (შეიძლება სადიპლომო) კომისიამ უნდა მიანიჭოს მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. ამასთან შენარჩუნებული უნდა იქნეს უმაღლესი სასწავლებლის სრული ციკლის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომის გაცემაც. პირებს, ვინც ვერ მოასწრებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პერიოდში მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოპოვებას, შეიძლება ამ ხარისხის მოპოვების ვადა გაუგრძელდეს მაქსიმუმ ორი წლით. საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში არსებულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა იზრუნონ მათ მიერ გაცემული მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის დიპლომის პრესტიჟულობისათვის.

ზემოთ მოყვანილი პოზიციებიდან გამომდინარე, სამეცნიერო ხარისხების ძიებისათვის დახარჯული დროის შემცირებისა და თავისუფალი შემოქმედებითი სამეცნიერო მუშაობისათვის დროის გაზრდის მიზნით, მოთხოვნები სადოქტორო ხარისხის მაძიებლებისათვის ახალი რეფორმის მიხედვით ნაკლები უნდა იყოს დღევანდელი სადოქტორო დისერტაციების მოთხოვნებზე.

სამეცნიერო ხარისხების საატესტაციო სისტემაში ეროვნული რეფორმის გატარება დღის წესრიგში დააყენებს ძველი სისტემით დამტკიცებული მეცნიერებათა კანდიდატების ხარისხის მქონე პირების სამეცნიერო სტატუსის სამართლიანობის საკითხს. საატესტაციო ეროვნული რეფორმის გატარების გარდამავალ პერიოდში მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი უნდა გაუტოლდეს მაგისტრის სამეცნიერო ხარისხს. საკანდიდატო ხარისხების ასეთმა ინფლაციამ ერთი მხრივ და სადოქტორო ხარისხების მოპოვებისათვის მოთხოვნების შემცირებამ, მეორე მხრივ, უნდა აამოძრაოს საკანდიდატო ხარისხებზე „გაყინული" მეცნიერთა არმია შემდგომი სამეცნიერო წინსვლისათვის. რაც შეეხება მეცნიერ-მკვლევართა მატერიალურ კეთილდღეობას, მას უნდა განსაზღვრავდეს სამეცნიერო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ფართოდ დანერგილი რეიტინგის პროგრესული ფორმა, სადაც თანამდებობების დაკავება კონკურსით უნდა ხდებოდეს.

საქართველო პატარა ქვეყანაა და რესპუბლიკაში არსებულმა ყველა ინსტიტუტმა რომ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გასცეს, ეს საერთაშორისო სამეცნიერო ფონზე მაინცდამაინც სერიოზული არ იქნებოდა. ამასთან ვგულისხმობთ, რომ მომავალში უნდა მოხდეს სახალხო განათლებისა და აკადემიის სისტემებში შემავალი არსებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაერთიანება სამეცნიერო ცენტრების გარშემო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკაში დაწყებულია ცალკეული უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ავტონომიზაციის პროცესი. ამიტომ დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემის უფლება უნდა მიენიჭოს რამდენიმე სამეცნიერო ცენტრსა და გაერთიანებას. მათში იმუშავებენ სპეციალიზებული საბჭოები, რომლებშიც ნომენკლატურის მიხედვით გაერთიანდებიან მხოლოდ ამ დარგის დოქტორის ხარისხის მქონე სპეციალისტები. სპეციალიზებული საბჭოები თვითონ, დამოუკიდებლად მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ. სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების წესს, სპეციალობების თავისებურებების გათვალისწინებით, დაადგენს თვით სპეციალიზებული საბჭო.

ამრიგად, თუკი შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, სამეცნიერო კადრების ატესტაციის დებულება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. საქართველოს რესპუბლიკაში დაწესდეს საქართველოს მეცნიერებათა მაგისტრისა და საქართველოს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები და პროფესორის სამეცნიერო წოდება.

2. საქართველოს მეცნიერებათა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხს ანიჭებს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სახელმწიფო სადიპლომო კომისია სტუდენტებს, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლის სრული 4+2 წლიანი კურსი, წარმოადგინეს მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი და აქვთ მეცნიერთა ხელმძღვანელობით ან დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო შრომები. მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების ვადა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ ორი წლით.

3. საქართველოს სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების უფლება ჩამოშორდეს მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას და მიენიჭოს შემდეგ სამეცნიერო ცენტრებს:

საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს;

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს;

საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტს;

საქართველოს პედაგოგიურ ინსტიტუტს;

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს;

საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარულ ინსტიტუტს;

საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტს.

(დასახელებული ორგანიზაციების მაგივრად შეიძლება შეიქმნას სხვა სახელწოდებების სამეცნიერო გაერთიანებები).

4. საქართველოს მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ენიჭება პირებს (არაა აუცილებელი მაგისტრის ხარისხი), რომლებიც წარმოადგენენ საკვალიფიკაციო ნაშრომს შემუშავებული წესის თანახმად.

5. საქართველოს პროფესორის წოდება ენიჭებათ დოქტორებს:

რომლებმაც შექმნეს ლექციების ორიგინალური კურსი ან სახელმძღვანელო, რომლებიც რეალურად დაინერგა სასწავლო პროცესში;

ჰყავთ აღზრდილი სამეცნიერო კადრები.

6. დოქტორის სამეცნიერო ხარისხს და პროფესორის წოდებას გასცემს მე-3 მუხლში დასახელებული სამეცნიერო ცენტრების ან გაერთიანებების საატესტაციო კომიტეტი სპეციალიზებული საბჭოების წარდგინებით.

7. დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად საჭიროა მოხდეს ნაშრომის აპრობაცია. აპრობაციის წესი შემდეგია:

მაძიებელი წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომს, რომლის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი და მკაფიოდ ასახავდეს ძირითად შედეგებს;

სპეციალიზებული საბჭო უნიშნავს ორ ოპონენტს — ამ დარგის დოქტორებს. ოპონენტი პასუხს აგებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებაზე, ავტორობაზე, ოფიციალურად წერს რეცენზიას;

ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, სპეციალიზებული საბჭოს წევრების თანდასწრებით;

ნაშრომი რეფერატის სახით და რეცენზიის ასლები ეგზავნება საქართველოში ამ დარგის ყველა დოქტორს, სათანადო კონტრაქტით გაფორმებულ სსრკ და საზღვარგარეთელ სპეციალისტებს (რამდენიმეს). თუკი ამ დარგის სპეციალისტთა უმრავლესობა თანახმაა, სპეციალიზებული საბჭო ანიჭებს საძიებელ ხარისხს.

8. მინიჭებული ხარისხებისა და წოდებების ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში.

9. რესპუბლიკის სამეცნიერო მიმართულებების შესამუშავებლად, საორგანიზაციო, სამეურნეო-საფინანსო-პროგნოზული დაგეგმარების, გამომცემლობის, ინოვაციათა და მონაცემთა კომპიუტერული ბანკის, საპატენტო, დანერგვითი სამუშაოების და მათგან მიღებული თანხების გამოყენებისა და კოორდინაციისთვის მიზანშეწონილია მე-3 პუნქტში მოყვანილი სამეცნიერო ცენტრებისა და გაერთიანებების ხარისხებისა და წოდებების გამცემი საატესტაციო კომიტეტების წარმომადგენლობითი გაერთიანება კონფედერაციის სახით.

10. ეს დებულება არ კრძალავს საქართველოს რესპუბლიკაში საკავშირო და სხვა ქვეყნების საატესტაციო სტრუქტურების არსებობას.

**თამაზ კალაძე,**
საქართველოს ჰელსინკის კავშირის განათლების, კულტურისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

**ლევან შენგელია,**
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, ც. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;

წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო

კომბინატში, ხოშტარიას ქ. № 29.

ინდექსი 66434

## კონკურსი სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

**სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემია 2000 მანეთის ოდენობით მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო მეცნიერული ნაშრომისათვის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში.**

პრემია მიენიჭება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას დაბადების დღეს — 18 ნოემბერს.

პრემიის მოსაპოვებლად, როგორც წესი, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცალკეულ ავტორთა შრომები. კოლექტიური ნაშრომისათვის პრემია მიეცემა ხელმძღვანელს და ძირითად ავტორებს. პრემიის გაყოფა ორ ან მეტ მაძიებელს შორის სხვადასხვა ნაშრომისათვის არ შეიძლება.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოადგინონ წინა სამი წლის განმავლობაში გამოცემული ნაშრომები.

ერთსა და იმავე პირს პრემია განმეორებით არ მიეცემა.

შრომა პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოადგინოს სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებამ, უმაღლესმა სასწავლებელმა, სამეცნიერო საზოგადოებამ, უწყებამ, საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ ან ცალკეულმა პირმა.

წარმოდგენილ ნაშრომს თან უნდა ახლდეს:

1. დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას და განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მეცნიერების განვითარებისათვის.
2. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად.
3. მონაცემები ავტორის შესახებ (ძირითად სამეცნიერო ნაშრომთა სია, მუშაობის ადგილი და დაკავებული თანამდებობა, ბინის მისამართი).
4. ცნობა, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს წინათ არ ჰქონია მინიჭებული სხვა პრემია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად, ერთი თვის განმავლობაში დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უნდა გამოიგზავნოს მისამართით: თბილისი 8, რუსთაველის პრ. 52, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, წარწერით: „აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მოსაპოვებლად".

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემია**

## კოოპერატიული ფირმა „დეტექტივი" სთავაზობს

**ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, საწარმოებს, კოოპერატივებსა და მოქალაქეებს მომსახურეობის შემდეგ სახეებს:**

ორგანიზაციათა დაცვა: მათ შორის ერთობლივი საწარმოების, კოოპერატივების და კერძო პირებისა.

— ტვირთების, ფასიანი ქაღალდების, დოკუმენტების, სამედიცინო პრეპარატების გაცილება ყველა სახის ტრანსპორტზე როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, ამასთან ფირმა კისრულობს მთლიან მატერიალურ პასუხისმგებლობას.

— დახმარებას უწევს კერძო და იურიდიულ პირებს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში.

— კერძო პირთა და ორგანიზაციათა შეკვეთით ახდენს პარტნიორების მიზნობრივ და სხვა სახის შემოწმებებს.

— არასრულწლოვანთა სწორად აღზრდის საქმეში სოციალურ და სამართლებრივ დახმარებას.

— ინფორმაციის შესრულებას, მოპოვებას და რეალიზაციას ყველა სახის უგზოუკვლოდ დაკარგული პირების მიმართ.

**დაკვეთების შესრულების ხარისხი და სისწრაფე** ფირმა „დეტექტივის" წარმატებით მუშაობის საფუძველია.

ფირმა დამატებით აცხადებს 22-დან 40 წლამდე ასაკის იურისტების, ოპერატიული გამოცდილების სტაჟის მქონე პირების, სპორტსმენების და კინოლოგების მიღებას.

**ფირმის მისამართია: თბილისი, შევჩენკოს ქ. №8, ტელ. 93-54-46, კვირის გარდა.**

## მრავალდარგობრივი ფირმა „საბა"

**საკომისიო** მაღაზიაში სამუშაოდ იწვევს ბუღალტერს. მაღაზია მდებარეობს მცხეთაში.

მისამართი: მამულაშვილის ქ. № 10.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ დარეკოთ თბილისში შემდეგ ტელეფონებზე: 29-13-22; 22-59-09; ან მცხეთაში: 39-98, კოდი 8-22-70.

**საფირმო** მაღაზია „ნასა" მოსახლეობისგან სარეალიზაციოდ შეუზღუდავად ჩაიბარებს ყველა სახის საქონელს. მაღაზია მდებარეობს მცხეთაში, მამულაშვილის ქ. № 10 (მამულაშვილის ბაღის წინ); ტელ: 39-98; ან დარეკეთ: 29-13-22, ან 22-59-09.

## საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და კოოპერატივების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

**საქართველოს** რესპუბლიკის [illegible]ავრობის 1991 წლის 7 ივნისის 30/26 დავალების თანახმად, გა[illegible]

[illegible]

დამოწმებასთან, შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი მისამართებით:

380092 თბილისი, ჩარგლის ქ. №7, ტ. 66-73-11.

[illegible]

## თბილისის № 35-ე საქალაქო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

[illegible]

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

**გამომცემლობა „მეცნიერება" ფირმა „ევრიკასთან" ერთად გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო**

**საკონკურსო ამოცანები მათემატიკაში**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 1990 წლის მისაღები გამოცდების ბილეთების ნიმუშები.

პროფ. დ. ნატროშვილის რედაქციით, რეცენზენტი — პროფ. ლ. მძინარიშვილი.

წიგნში 22 განყოფილებაა. თითოეული მათგანი აერთიანებს ხუთსაკითხიან ერთნაირი ტიპის 11 ბილეთს. ყოველ განყოფილებაში მოყვანილია თითო ბილეთის დაწვრილებითი ამოხსნა და დანარჩენი ბილეთების საკითხების პასუხები.

როგორც ვიცით, წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის წერითი გამოცდების ბილეთების სტრუქტურა ანალოგიურია 1990 წლის ბილეთების სტრუქტურისა, ამიტომ მოცემული კრებულის დამუშავება არსებითად შეუწყობს ხელს ცოდნის იმ დონის მიღწევას, რომელიც მოეთხოვებათ აბიტურიენტებს მისაღებ გამოცდებზე.

წიგნები გაიყიდება „საქწიგნის" მაღაზიებში „ევრიკა" — მ. კოსტავას ქ. № 22, „პოლიტექნიკოსი" — მ. კოსტავას ქ. № 77, „სინათლე" — ილია ჭავჭავაძის გამზ. № 19, „საუნჯე" — რუსთაველის გამზ. № 28, აგრეთვე თბილისის და საქართველოს რაიონული ცენტრების მაღაზიებში.

## ხელი გავუმართოთ ღარელებს

**შეიქმნა** საქველმოქმედო ფირმა „ღარულა", რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ზემო რაჭის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ღარში ძველი ეკლესიის ნანგრევების ადგილას ახალი ეკლესიის აშენება. ვინაიდან მიწისძვრამ ვითარება შეცვალა, „ღარულამ" გადაწყვიტა თანხები შეაგროვოს სოფ. ღარში სტიქიური უბედურებით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად და შემდგომში სოფლის ეკლესიის მშენებლობისათვის. ფირმა თხოვნით მიმართავს წარმოებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და ყველას, ვისაც რაიმე კავშირი აქვს სოფელ ღართან, ხელი გაუმართონ ფირმა „ღარულას" და შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ფინანსურად და მატერიალურად. ფირმის ანგარიშზე ფულის ჩარიცხვა უნდა მოხდეს საქართველოს რესპუბლიკური ბანკის საქციო უნივერსალურ ბანკ „იბერიაბანკის" მეშვეობით შემდეგ ანგარიშზე 000161611 — МФО — 521006. საქველმოქმედო ფირმა „ღარულას".

**ცნობებისათვის დარეკეთ: 72-48-94, 74-35-31.**

## გიმკურნალებთ უფასოდ

**სამკურნალო საშუალება „სალხინო"**, რომელსაც ამზადებს ცნობილი მკურნალი როინ ნაჭყებია, კურნავს სხვადასხვა დაავადებებს, მათ შორის მასტოპატიას. ცნობილია, რომ ახალგაზრდა დედებს, მშობიარობის შემდეგ, [illegible]

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

[illegible]

# ოფიციალური ცხრილი

**საქართველოს ფულისა და ნივთების 1991 წლის მესამე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1991 წლის 20 ივნისს ქ. ხობში. ტირაჟში გათამაშდა 828 ათასი მანეთის 252 ნივთმოგება და 344748 ფულადი მოგება. მოგება ხვდა ლატარიის ბილეთების შემდეგ სერიებსა და ნომრებს (მოგებათა ტირაჟი გაიმართა ლატარიის ორ თანრიგზე).**

| სერიის №№ | ბილეთის №№ | მოგებახვედრილი ნივთების დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა | მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება |
|---|---|---|---|
| 008002 | 153*) | 1200 მანეთი | — |
| 008007 | 008*) | 25 მანეთი | — |
| 008016 | 476*) | 70 მანეთი | — |
| 008017 | 222*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008025 | 569*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა" | 252—00 |
| 008051 | 240*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 008058 | 182*) | ფერადი ტელევიზორი | 645—00 |
| 008067 | 098*) | 50 მანეთი | — |
| 008085 | 359*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 008092 | 543*) | 25 მანეთი | — |
| 008097 | 515*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008128 | 336*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 008135 | 203*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 008180 | 1-575 | 10 მანეთი | — |
| 008189 | 062*) | 500 მანეთი | — |
| 008191 | 527*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 008192 | 080*) | 25 მანეთი | — |
| 008228 | 110*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008232 | 474*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008234 | 030*) | 50 მანეთი | — |
| 008237 | 284*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 008238 | 556*) | 25 მანეთი | — |
| 008240 | 068*) | 80 მანეთი | — |
| 008274 | 074*) | 25 მანეთი | — |
| 008316 | 035*) | 40 მანეთი | — |
| 008344 | 544*) | 500 მანეთი | — |
| 008373 | 020*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 008389 | 248*) | 750 მანეთი | — |
| 008428 | 182*) | 80 მანეთი | — |
| 008435 | 546*) | 30 მანეთი | — |
| 008451 | 188*) | 70 მანეთი | — |
| 008468 | 157*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 008480 | 169*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008505 | 318*) | 500 მანეთი | — |
| 008508 | 485*) | 40 მანეთი | — |
| 008530 | 034*) | 30 მანეთი | — |
| 008551 | 556*) | ფერადი ტელევიზორი | 645—00 |
| 008573 | 078*) | 30 მანეთი | — |
| 008587 | 274*) | მაცივარი „მინსკი" | 455—00 |
| 008590 | 258*) | 1200 მანეთი | — |
| 008600 | 049*) | 40 მანეთი | — |
| 008617 | 338*) | 25 მანეთი | — |
| 008634 | 002*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 008662 | 360*) | მაგნიტორადიოლა „აელიტა" | 328—00 |
| 008663 | 434*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 008706 | 205*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 008734 | 135*) | იმპორტული ავეჯი | 2125—00 |
| 008745 | 466*) | 30 მანეთი | — |
| 008752 | 279*) | 30 მანეთი | — |
| 008781 | 076*) | 30 მანეთი | — |
| 008800 | 067*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 008825 | 282*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 008835 | 298*) | 40 მანეთი | — |
| 008837 | 587*) | 30 მანეთი | — |
| 008844 | 438*) | 30 მანეთი | — |
| 008852 | 158*) | 30 მანეთი | — |
| 008853 | 358*) | 40 მანეთი | — |
| 008857 | 250*) | 1200 მანეთი | — |
| 008904 | 281*) | 40 მანეთი | — |
| 008937 | 553*) | ავტომანქ. „ჟიგ. ვაზ-21063" | 9000—00 |
| 008938 | 260*) | 30 მანეთი | — |
| 008974 | 183*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 008986 | 177*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008990 | 441*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 008995 | 109*) | ფერადი ტელევიზორი | 645—00 |
| 008997 | 396*) | 80 მანეთი | — |
| 008999 | 1-575 | 15 მანეთი | — |
| 009008 | 541*) | 25 მანეთი | — |
| 009014 | 109*) | ავტომანქ. „ჟიგ. ვაზ-21063" | 9000—00 |
| 009022 | 392*) | 70 მანეთი | — |
| 009040 | 078*) | მაცივარი „ზილი" | 410—00 |
| 009043 | 010*) | 30 მანეთი | — |
| 009053 | 1-575 | 5 მანეთი | — |
| 009056 | 183*) | 70 მანეთი | — |
| 009060 | 027*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009064 | 119*) | 70 მანეთი | — |
| 009068 | 253*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 009074 | 402*) | 25 მანეთი | — |
| 009077 | 470*) | 300 მანეთი | — |
| 009081 | 199*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 009085 | 220*) | 70 მანეთი | — |
| 009091 | 539*) | 100 მანეთი | — |
| 009095 | 176*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009121 | 183*) | 40 მანეთი | — |
| 009145 | 404*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 009149 | 041*) | 50 მანეთი | — |
| 009158 | 038*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009219 | 003*) | 30 მანეთი | — |
| 009241 | 295*) | 25 მანეთი | — |
| 009266 | 266*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 009278 | 061*) | 100 მანეთი | — |
| 009280 | 561*) | 1200 მანეთი | — |
| 009291 | 122*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009304 | 416*) | კონდიციონერი | 390—00 |
| 009309 | 136*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 009312 | 301*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 009320 | 097*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009343 | 274*) | 10 მანეთი | — |
| 009344 | 278*) | 40 მანეთი | — |
| 009349 | 343*) | 300 მანეთი | — |
| 009362 | 268*) | ხალიჩა | 490—00 |
| 009366 | 552*) | 30 მანეთი | — |
| 009384 | 238*) | ელექტრო ხორცსაკეპი | 25—00 |
| 009400 | 187*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 009410 | 177*) | 40 მანეთი | — |
| 009416 | 477*) | 300 მანეთი | — |
| 009437 | 544*) | 590 მანეთი | — |
| 009445 | 325*) | 25 მანეთი | — |
| 009448 | 152*) | 50 მანეთი | — |
| 009460 | 515*) | 40 მანეთი | — |
| 009478 | 454*) | 80 მანეთი | — |
| 009492 | 493*) | 80 მანეთი | — |
| 009497 | 330*) | 40 მანეთი | — |
| 009509 | 139*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 009516 | 008*) | 50 მანეთი | — |
| 009517 | 352*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009573 | 159*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 009603 | 060*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა" | 252—00 |
| 009611 | 478*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 009625 | 559*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 009676 | 516*) | 500 მანეთი | — |
| 009681 | 237*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 009691 | 399*) | 300 მანეთი | — |
| 009701 | 318*) | 300 მანეთი | — |
| 009712 | 301*) | 30 მანეთი | — |
| 009723 | 290*) | 750 მანეთი | — |
| 009737 | 285*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 009751 | 102*) | 50 მანეთი | — |
| 009770 | 521*) | 30 მანეთი | — |
| 009782 | 428*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 009783 | 111*) | 40 მანეთი | — |
| 009790 | 261*) | 70 მანეთი | — |
| 009823 | 308*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 009840 | 305*) | 30 მანეთი | — |
| 009852 | 517*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 009885 | 548*) | 50 მანეთი | — |
| 009895 | 400*) | 25 მანეთი | — |
| 009904 | 537*) | 6.500 მანეთი | — |
| 009912 | 553*) | 40 მანეთი | — |
| 009918 | 064*) | 40 მანეთი | — |
| 009934 | 021*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 009958 | 397*) | 25 მანეთი | — |
| 009965 | 542*) | 25 მანეთი | — |
| 009969 | 1-575 | 20 მანეთი | — |
| 009972 | 220*) | 30 მანეთი | — |
| 009977 | 562*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 009997 | 127*) | 80 მანეთი | — |
| 009999 | 181*) | 30 მანეთი | — |
| 010005 | 416*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010010 | 047*) | 50 მანეთი | — |
| 010057 | 059*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 010082 | 465*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა" | 252—00 |
| 010084 | 099*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 010140 | 381*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 010146 | 457*) | 25 მანეთი | — |
| 010158 | 527*) | ხალიჩა | 490—00 |
| 010169 | 016*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 010182 | 286*) | 50 მანეთი | — |
| 010191 | 100*) | 70 მანეთი | — |
| 010198 | 377*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 010224 | 508*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010239 | 553*) | 70 მანეთი | — |
| 010242 | 421*) | მაგნიტორადიოლა „აელიტა" | 328—00 |
| 010267 | 308*) | მაცივარი „მინსკი" | 455—00 |
| 010274 | 401*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 010303 | 409*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010304 | 019*) | 30 მანეთი | — |
| 010305 | 346*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 010325 | 122*) | 50 მანეთი | — |
| 010337 | 446*) | 2000 მანეთი | — |
| 010339 | 541*) | 500 მანეთი | — |
| 010350 | 512*) | 500 მანეთი | — |
| 010359 | 564*) | კონდინციონერი | 390—00 |
| 010380 | 1-575 | 20 მანეთი | — |
| 010383 | 007*) | 30 მანეთი | — |
| 010389 | 227*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა" | 252—00 |
| 010398 | 476*) | 750 მანეთი | — |
| 010405 | 218*) | 30 მანეთი | — |
| 010439 | 451*) | ავტომანქანა „ჟიგ. ვაზ-21063" | 9000—00 |
| 010442 | 409*) | ავტომანქანა „ჟიგ. ვაზ-21063" | 9000—00 |
| 010444 | 438*) | 50 მანეთი | — |
| 010453 | 296*) | ავტომანქანა „ჟიგული-ვაზ-2108" | 8400—00 |
| 010455 | 400*) | 50 მანეთი | — |
| 010456 | 1-575 | 15 მანეთი | — |
| 010468 | 281*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 010474 | 498*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010488 | 348*) | 500 მანეთი | — |
| 010492 | 475*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 010494 | 451*) | 30 მანეთი | — |
| 010511 | 048*) | 300 მანეთი | — |
| 010531 | 175*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-2108" | 8400—00 |
| 010542 | 083*) | 50 მანეთი | — |
| 010548 | 160*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010557 | 835*) | 1200 მანეთი | — |
| 010568 | 046*) | 80 მანეთი | — |
| 010576 | 011*) | 30 მანეთი | — |
| 010577 | 191*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010582 | 472*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010589 | 353*) | 30 მანეთი | — |
| 010603 | 225*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 010607 | 280*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010620 | 375*) | 50 მანეთი | — |
| 010627 | 365*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010637 | 394*) | მაცივარი მინსკი | 455—00 |
| 010666 | 096*) | 40 მანეთი | — |
| 010684 | 318*) | მოგება 6500 მანეთი | — |
| 010687 | 514*) | 25 მანეთი | — |
| 010709 | 212*) | 30 მანეთი | — |
| 010716 | 179*) | ავტომანქანა „ჟიგული 2109" | 9000—00 |
| 010721 | 209*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010726 | 143*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010759 | 039*) | 25 მანეთი | — |
| 010781 | 274*) | 750 მანეთი | — |
| 010799 | 167*) | მაცივარი მინსკი | 455—00 |
| 010801 | 385*) | 50 მანეთი | — |
| 010814 | 048*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010828 | 159*) | მაცივარი მინსკი | 455—00 |
| 010832 | 189*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 010857 | 172*) | მაცივარი ორსკი | 325—00 |
| 010858 | 516*) | 50 მანეთი | — |
| 010869 | 421*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 010894 | 204*) | 30 მანეთი | — |
| 011008 | 316*) | 25 მანეთი | — |
| 011019 | 554*) | 30 მანეთი | — |
| 011037 | 482*) | 30 მანეთი | — |
| 011039 | 405*) | მაგნიტორადიოლა „აელიტა" | 328—00 |
| 011047 | 218*) | 30 მანეთი | — |
| 011054 | 146*) | 500 მანეთი | — |
| 011064 | 364*) | 300 მანეთი | — |
| 011067 | 197*) | 750 მანეთი | — |
| 011076 | 583*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 011102 | 541*) | 300 მანეთი | — |
| 011140 | 157*) | 2000 მანეთი | — |
| 011155 | 442*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 011177 | 523*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 011178 | 485*) | ავტომანქანა „ჟიგული 2109" | 9.000—00 |
| 011187 | 089*) | 300 მანეთი | — |
| 011189 | 077*) | 750 მანეთი | — |
| 011190 | 121*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 011200 | 341*) | 50 მანეთი | — |
| 011207 | 273*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 011218 | 142*) | ელექტროხორცსაკეპი | 25—00 |
| 011234 | 212*) | მაგნიტორადიოლა „აელიტა" | 328—00 |
| 011239 | 138*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-21063" | 9000—00 |
| 011261 | 105*) | მაგნიტორადიოლა „აელიტა" | 328—00 |
| 011264 | 043*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა" | 252—00 |
| 011272 | 268*) | 100 მანეთი | — |
| 011278 | 473*) | 40 მანეთი | — |
| 011289 | 178*) | 500 მანეთი | — |
| 011290 | 212*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-21063 | 9000—00 |
| 011318 | 475*) | 50 მანეთი | — |
| 011319 | 182*) | 30 მანეთი | — |
| 011326 | 343*) | 25 მანეთი | — |
| 011327 | 040*) | 50 მანეთი | — |
| 011374 | 538*) | 50 მანეთი | — |
| 011385 | 1-575 | 15 მანეთი | — |
| 011387 | 131*) | საკერავი მანქანა „ჩაიკა" | 252—00 |
| 011395 | 527*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-21063" | 9000—00 |
| 011398 | 326*) | ხალიჩა | 490—00 |
| 011402 | 418*) | 25 მანეთი | — |
| 011455 | 175*) | 25 მანეთი | — |
| 011476 | 302*) | 750 მანეთი | — |
| 011483 | 261*) | 50 მანეთი | — |
| 011496 | 445*) | 80 მანეთი | — |
| 011509 | 480*) | 50 მანეთი | — |
| 011528 | 300*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 011531 | 380*) | 25 მანეთი | — |
| 011532 | 414*) | 100 მანეთი | — |
| 011579 | 066*) | 25 მანეთი | — |
| 011587 | 525*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 011590 | 472*) | ყავის ელექტროწისქვილი | 14—00 |
| 011607 | 474*) | 50 მანეთი | — |
| 011619 | 539*) | 40 მანეთი | — |
| 011642 | 190*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-21063" | 9000—00 |
| 011659 | 389*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-2108" | 8400—00 |
| 011695 | 236*) | 50 მანეთი | — |
| 011708 | 227*) | 500 მანეთი | — |
| 011734 | 534*) | 40 მანეთი | — |
| 011735 | 459*) | 50 მანეთი | — |
| 011748 | 329*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 011749 | 566*) | 300 მანეთი | — |
| 011759 | 350*) | 40 მანეთი | — |
| 011765 | 495*) | 80 მანეთი | — |
| 011772 | 203*) | 25 მანეთი | — |
| 011789 | 007*) | 25 მანეთი | — |
| 011814 | 556*) | 750 მანეთი | — |
| 011823 | 480*) | 2000 მანეთი | — |
| 011828 | 280*) | 25 მანეთი | — |
| 011848 | 246*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 011851 | 451*) | 30 მანეთი | — |
| 011884 | 291*) | მაცივარი „ორსკი" | 325—00 |
| 011891 | 503*) | 100 მანეთი | — |
| 011896 | 495*) | 70 მანეთი | — |
| 011909 | 081*) | 1200 მანეთი | — |
| 011937 | 214*) | 30 მანეთი | — |
| 011944 | 043*) | 750 მანეთი | — |
| 011947 | 439*) | ასი ლატარიის ბილეთი | 30—00 |
| 011949 | 569*) | მტვერსასრუტი | 25—00 |
| 011968 | 409*) | მაცივარი „ზილი" | 410—00 |
| 011979 | 510*) | ავტომანქანა „ჟიგული ვაზ-21063" | 9000—00 |

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების 574 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს. თუ ცხრილში ნაჩვენებია 1-575, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სერიის ყველა 575 ნომერს მოგება ხვდა შესაბამისად 5, 10, 15, 20 მანეთი.

მოგებაზე — „100 ლატარიის ბილეთი" გაიცემა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთები.

ეს ცხრილი არის ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

## მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, მიმღებთა სურვილით, მოგებული ნივთის ნაცვლად 200 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში, 200 მანეთზე მეტ მოგებას 1100 მანეთის ჩათვლით გასცემენ შემნახველი ბანკის განყოფილებები და მათი ფილიალები, სადაც ორი და მეტი თანამშრომელია.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს ქ. თბილისში.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიებს მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება შემნახველი ბანკის განყოფილებებსა და მათ ფილიალებს, სადაც ორი ან მეტი თანამშრომელია. ამასთან ლატარიის ბილეთების მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველი ბანკის დაწესებულებებში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომელსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1992 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

**შენიშვნა:** სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მოწყობილი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შემოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის დიდუბის რაიონის, აგრეთვე ქალაქების — სოხუმის, ბათუმის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ფოთის და გაგრის შემნახველი ბანკის განყოფილებებში.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა შემნახველი ბანკის განყოფილებებში, აგრეთვე სხვა დიდი ქალაქების შემნახველი ბანკის განყოფილებებში.

კომისიის თავმჯდომარე — ხობის რაიონის პრეფექტი ო. ქაჯაია,
თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ფინანსებისა და ფასების ხრულყოფის სამმართველოს პირველი კატეგორიის ეკონომისტი თ. ფანოზიშვილი,
თავმჯდომარის მოადგილე — ხობის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგე შ. კვარაცხელია,
პასუხისმგებელი მდივანი — საქართველოს რესპუბლიკის შემნახველი ბანკის გამგეობის ექსპერტიზის განყოფილების უფროსი ჯ. ჩიტალაძე.

**საინფორმაციო სარეკლამო სააგენტო „ამარტი"**